MES 5 20 0000493976

19/06/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 08.06.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო:18:25
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი-საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;

9. ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
10. გიორგი თურქია - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. ირმა წერეთელი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
12. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - სხდომის მდივანი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
4	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	სოსო გოგილიძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში	I
2	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	აკრედიტაციის განყოფიკების უფროსი	I
3	ჯონი მწარიაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ავტორიზაციის განყოფილების უფროსი-	I
4	ნოდარ ხერხეულიძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
5	ეკა გეგეშიძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	პროფესორი	I
6	ნათია გოლიაძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ბიზნეს ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი	I
7	დავით გუბელაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია“ ხელმძღვანელი	II
8	ირმა ინაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	II, III, IV, V

9	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	რექტორის მრჩეველი	II, III, IV, V
10	გიორგი ქვარცხავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი	III
11	ნინო ლომიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
12	აკაკი გუნცაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი	III
13	ვასილ ღლიღვაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მეცხოველეობა“ ხელმძღვანელი	III
14	ოთარ გელაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი	IV
15	ნათია ბუთხუზი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
16	გოდერძი ტყეშელაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ,,ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტი" ხელმძღვანელი	IV
17	რუსუდან ქუთათელაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი	V
18	ევგენი ბარათაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ ხელმძღვანელი	V
19	ანზორ აბრალავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	V
20	თამარ ღამბაშიძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	V
21	თამარ როსტიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	V
22	ნინო ფაილოძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	V
23	რატი ბურდიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	V
24	ვალერი მოსიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	V
25	გუგული ყურაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	V
26			მოწვეული პროფესორი	V

	მერაბ მიქელაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი		
27	პაატა კოღუაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროფესორი	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნანა მაჭარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნინო ფარსადანაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების” 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველეობის“ სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის" საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტის" სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის" საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველეობის“ სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტის" სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

დღის წესრიგში საკითხები გადაადგილდა საბჭოს მიმდინარეობის პროცესის ეფექტურობისთვის.

1.პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2015 წლის 21 იანვარი, N4 გადაწყვეტილება.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, ქ. თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის IV კორპუსი, 0171, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს სთხოვა მოკლედ მოეხსენებინათ და წარმოეჩინათ ძირითადი საკითხები და რეკომენდაციები.

ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა რეკომენდაციაზე. პროგრამასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ ინგლისური ენის B2 სწავლების, მისაღები მოთხოვნის თვალსაზრისით თვითონ თვითშეფასების დოკუმენტში კარგად და ცხადად არ იყო განმარტებული, რომ ინგლისური ენა B2 იყო აუცილებელი და სავალდებულო მოთხოვნა. ეს თვითშეფასების დოკუმენტის პრობლემა უფრო იყო, უბრალოდ მათ ესე ჩათვალეს და კარგი იქნებოდა მომავალში გაეთვალისწინებინათ. სექტორალური სწავლების თვალსაზრისით არსებობდა გარკვეულ სექტორებთან გადაკვეთა, მაგრამ მისი თქმით უფრო მეტი სურვილი იყო, როდესაც საუბარი იყო საჯარო ადმინისტრირების პროგრამა სხვადასხვა სექტორალური პერსპექტივიდან ჯანდაცვა, განათლება, გარემოს დაცვა იქნება თუ მსგავსი, ეს სფეროები იყოს წინ წამოწეული. მაგრამ აქაც რესურსების პრობლემა იყო, ყოველშემთხვევაში საქართველოში იყო ეს პრობლემები და ამიტომ რჩევების კატეგორიაში გადაიტანეს და რაც მთავარია უნივერსიტეტი აცნობიერებდა პრობლემას. მისი თქმით, მან დაინახა, რომ უნივერსიტეტს აქვს ძალიან კარგი პრაქტიკა სხვა პროგრამებთან კავშირის თვალსაზრისით და მჭიდროთ თანამშრომლობენ ბიზნეს ადმინისტრირებასთან და ცხადია, რომ საჯარო და ბიზნეს ადმინისტრირებასთან მჭიდრო კავშირის პირობებში ძალიან კარგი იყო, რომ არსებობდა კურსების გაცვლის პერსპექტივა, მაგრამ მას ჰქონდა თხოვნა, რომ მაგალითად ის სტუდენტი, რომელიც ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის მიერ შემოთავაზებულ კურსებზე დარეგისტრირდება, მათთვისაც ბიზნესის მიღმა საჯარო ადმინისტრირების პერსპექტივით და თვალთახედვით იყოს საკითხები განხილული. მათ ბლოკებზე ითხოვეს რჩევების სახით, რომ ტერმინოლოგიურად არ გამოეყენებინათ პროგრამულ აღწერაში, რადგან კანონმდებლობა მას უკვე აღარ იყენებდა. მათ ასევე თხოვეს, რომ კურსების სილაბუსებში მითითებული ყოფილიყო კურატორები, რადგან მისი თქმით არ იყო დაფიქსირებული კონკრეტული ლექტორები და ის ადამიანები, ვინც კურსებს უძღვებოდნენ. ეს ხდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც კურს რამდენიმე ადამიანი იმეორებდა ანუ სხვადასხვა ჯგუფებში მუშაობდა და ასევე, საავტორო უფლებების თვალსაზრისით თხოვეს, რომ აღნიშნული გაეთვალისწინებინათ. შინაარსობრივად როდესაც საუბარია პოლიტიკის ანალიზში გავლენის ექსპერიმენტული და არაექსპერიმენტული მოდელირებები თხოვეს, რომ გაეწერათ. პოლიტიკის ანალიზში ასევე კარგი იყო მთავრობის მიერ ახალი მიღებული დადგენილება 629 გათვალისწინებულიყო, დაგეგმვის და შეფასების ინსტრუქციები უფრო მეტად ყოფილიყო

წარმოდგენილი. მისი თქმით გასაგები იყო ის, რომ ის იყო კონკრეტული დადგენილება, რომელიც ოდნავ მოგვიანებით შევიდა ძალაში, მაგრამ უნდოდა ხაზი გაესვა მნიშვნელობაზე. ასევე ითხოვეს, რომ კვლევის დიზაინი ცალკე ყოფილიყო გაწერილი ისევ სამაგისტრო ხარისხის გათვალისწინებით და ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით და ასევე მათ სთხოვეს პროფესორთა განვითარების ხელშემწყობ სისტემებზე უფრო მეტად აქცენტირება, შეხვედრები თვითონ პერსონალთან. დასტურდებოდა ინდივიდუალური ჩართულეობა, მაგრამ არა ჯგუფური მუშაობა. საუკეთესო პრაქტიკა იყო ენათმეცნიერების ცენტრის არსებობა და ის, რომ საერთაშორისო აკრედიტაციისკენ ჰქონდათ სერიოზული ნაბიჯები გადადგმული და მისი ვარაუდით ეს წარმატებული იქნებოდა და ამ მხრივ მან წარმატება უსურვა პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელებს. მან ასევე აღნიშნა სკოლებს შორის კარგი ინტეგრაციის შესაძლებლობები. მისი თქმით ძალიან კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული შეფასების იგივე უნიფიცირების სისტემა, რომელიც მანამდე არსებობდა, ის პრობლემა გადასალახი იყო და ამ მხრივ იყო სერიოზული პლიუსები თვითონ სილაბუსებში. ამ მხრივ ასევე იყო სტუდენტზე ორიენტირება, ეს იქნებოდა დაფინანსება, მხარდაჭერა, თავად სტუდენტთან რამოდენიმე ადამიანი მუშაობს, ეს არის პროგრამის ხელმძღვანელი, უშუალოდ კვლევითი მიმართულებით ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული მხარდაჭრის თვალსაზრისით წარმოქმნილი დამატებითი ასისტენტები და მან თქვა, რომ სამეცნიერო განხილვის დონეზე სტუდენტებთან და მას სურდა აქცენტი გაეკეთებინა იმაზე, რომ სერიოზულ მხარდაჭერას იმსახურებდა პროგრამა, რომ მომავალში ასევე წარმატებით განხორციელდეს მისი ფუნქციონირება.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულებას სთხოვა წარმოედგინათ პოზიცია.

ნოდარ ხერხეულიძე, პროგრამის თანახელმძღვანელი, მიესალმა საბჭოს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელს საინტერესო შეჯამებისთვის და ექსპერტთა ჯგუფს საინტერესო დასკვნისთვის. მან ისაუბრა რეკომენდაციებზე. რაც შეეხება რეკომენდაციას, საბაკალავრო და სამაგისტრო დებულებების გამიჯვნასთან დაკავშირებით, მისი თქმით, როგორც ქალბატონმა ნანიმ აღნიშნა უნივერსიტეტი იყო წინასაავტორიზაციო რეჟიმში და ისედაც მიმდინარეობდა შიდა დოკუმენტების და დებულებების გადახედვა, კორექტირება და ა.შ., ისინი მუშაობდნენ ხარისხის დეპარტამენტთან ერთად და შეეძლოთ უკვე ჩაეთვალათ, რომ რეკომენდაცია მიღებული იყო. ერთადერთი რაც მას სურდა, რომ დაემატებინა, რამაც ხელი შეუწყო და განაპირობა რეკომენდაციის ფორმულირება, გახდა ის რომ მათ შემთხვევით ექსპერტთა ჯგუფს გადაუგზავნეს არასაბოლოო ნაშრომები, რამაც გამოიწვია ის, რომ ნაშრომებს ჰქონდა მცირე სტრუქტურული ხარვეზები და სწორედ ამასთან დაკავშირებით ჰქონდა ექსპერტა ჯფუგს შენიშვნები. თუმცა ეს თავისთავად ცხადი იყო, რომ ეს იყო ბოლოს წინა ვერსიები, რომლებიც არ იყო გამართული და ამიტომ გასაგები იყო ეს რეკომენდაცია. მისი თქმით, საერთო დებულებით გაწერილი იყო სამაგისტრო ნაშრომების მომზადების ინსტრუქცია, თუმცა გამიჯვნის პირობებში აბსოლუტურად ეთანხმებოდა, რომ უფრო დეტალურად შეეძლოთ გაეწერათ სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია, ასე რომ ეს რეკომენდაცია მიღებული იყო და აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული. ხოლო რაც შეეხებოდა რჩევებს, მისი თქმით, როგორც ქალბატონმა ნანიმ აღნიშნა ძალიან კარგად მუშაობდნენ აკრედიტაციაზე და შესაბამისად ნებისმიერი ტიპის ექსპერტული რჩევა იქნებოდა ეს დარგობრივი თუ ტექნიკური, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო მათთვის და ყველა რჩევას, რომელიც წარმოდგენილია დასკვნაში ეთანხმებიან და აპირებენ, რომ გაითვალისწინონ თუ უკვე გათვალისწინებული არ აქვთ. მაგალითისთვის სექტორულ გაშლაზე, როგორც ქალბატონმა ნანიმ ახსენა, ასევე საჯარო პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელო მთავრობის დადგენილების ინტეგრირება რა თქმა უნდა საჯარო პოლიტიკის ანალიზში, ან მონიტორინგის და შეფასების კურსში, უბრალოდ ეს დადგენილება როდესაც მათ შეიტანეს განაცხადი მაშინ არ იყო მიღებული, შესაბამისად ვერ მოხდებოდა ამის ასახვა. მათი ლექტორებიც მონაწილეობას იღებდნენ იმ სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავებაში და საქმის კურსში იყვნენ და რა თქმა უნდა ამის ასახვა მოხდებოდა.

რაც შეეხებოდა დარგობრივ რჩევებს, ისინი იზიარებდნენ და მადლობას უხდიდნენ ამისთვის. რაც შეეხებოდა ტექნიკური ხასიათის რჩევებს, როგორიც იყო ტერმინი ბლოკის ამოღებას პროგრამიდან და სხვა სიტყვით ჩანაცვლებას, მისი აზრით არანაირი პრობლემა არ იყო, უბრალოდ ტერმინი ბლოკი გამოიყენებოდა იმისთვის, რომ სტუდენტებისთვის ბევრად უფრო მარტივი ყოფილიყო ორიენტირება არჩევითი საგნების ჩამონათვალში და თემატურად იყო დაჯგუფებული და უბრალოდ ბლოკი ქვია. მისი ჩანაცვლება არ იყო არანაირი პრობლემა. რაც შეეხებოდა სილაბუსში კურატორის მითითებას, უნივერსიტეტის პოლიტიკა იყო ზოგადად, რომ საგნის სილაბუსში მითითებულია კურსის კურატორი და არ არის მითითებული სხვა ლექტორები, რომლებიც შეიძლება იმ კურსს კითხულობდნენ მათ შორის ერთი და იგივე სემესტრში შეიძლებოდა საგანს კითხულობდეს, როგორც კურატორი ასევე სხვა რამდენიმე ლექტორი. მისი თქმით ეს უნივერსიტეტის ზოგადი პოლიტიკა იყო. საბოლოო ჯამში, როგორც მან აღნიშნა მათთვის ყველა ეს რჩევა ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმისთვის, რომ უკეთ მომზადებულიყვნენ საერთაშორისო აკრედიტაციისთვის, და ის იმედს იტოვებდა, რომ საბოლოო ჯამში, რამდენიმე წლიან პერსპექტივაში მიიღებდნენ წინსვლას საერთაშორისო აკრედიტაციაში.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა და საბჭოს წევრებს მიმართა ხომ არ ჰქონდათ რაიმე კითხვა.

საბჭოს წევრი ნიკა თიკანაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტებს. მას პირველ რიგში კითხვა ჰქონდა ბლოკებთან დაკავშირებით, რაც თავის მხრივ წარმოადგენდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორს და კონცენტრაციებს.

პროგრამის თანახელმძღვანელის თქმით კონცენტრაციები არ იყო პროგრამაში. მისი განმარტებით, არჩევნითი საგნები იმისთვის, რომ არ იყოს ჩამოწერილი 60 საგანი და სტუდენტმა საგანით ეძებოს, უბრალოდ მათ გააერთიანეს რამდენიმე მმიმართულებაში. ანუ ვიზუალურად იყო გაერთიანებული, რომ მაგალითად სტუდენტმა მოიძიოს არჩევითი საგანი მენეჯმენტის მიმართულებიდან ვიდრე პოლიტიკის მიმართულებიდან ან საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებიდან. შესაბამისად არ იყო კლასიფიკაცია გაკეთებული, არამედ დალაგებული იყო მიმართულებების მიხედვით, რომ ვიზუალურად სტუდენტს დაენახა, რომ მაგალითად სტრატეგიული მენეჯმენტი არის მართვის მიმართულების საგანი და არა საერთაშორისო ურთიერთობების. მათ კონკენტრაციებთან არანაირი შეხება არ ჰქონდათ, უბრალოდ ბლოკი იყო გამოყენებული და გასაგები იყო და მისი ხედვით არ იყო პრობლემა. რაც შეეხებოდა, თავად ტერმინოლოგიურ ნაწილს, მასთან მიმართებაში ის ეთანხმებოდა, უბრალოდ მისი თქმით ისე მოხდა, რომ მათთვის რეკომენდაციის ანუ რჩევის სახე იყო მითითებული. მათ უბრალოდ იურიდიულად მისი მითითების, შეცვლის შესაძლებლობა ვერ ექნებოდათ, რადგანაც მათ ბრძანება უკრძალავდა, გარდა ერთჯერადი შესწორებისა. აქედან გამომდინარე, მათთვის ტერმინოლოგიური მხარის შეცვლა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. თუნდაც მას შეიძლებოდა არჩევითი ბლოკი, რაიმე სახელი დაერქვას. უბრალოდ ბლოკების სახელები იმდენად იყო დამკვიდრებული, რომ ისინი ორიენტირების საშუალებას აძლევდნენ.

საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ კომენტარი გააკეთა, რომ თემატურად დაჯგუფებული საგნები გამოდიოდა მხოლოდ და მხოლოდ და არა სამართლებრივად კონცენტრაცია. გასაგები იყო მით უმეტეს პროფილის მიხედვით დალაგებული საგნები ამ შემთხვევაში კვალიფიკაციას ვერც მისცემს საჯარო მმართველობაში, რადგან მომიჯნავე სფეროებიდანაა. მისი თქმით თემატურ-სისტემურად იყო დალაგებული და გასაგები იყო.

საბჭოს წევრმა იკითხა, რომ როცა სტუდენტმა ჩააბარა პროგრამაზე, აითვისა 90 კრედიტი, რჩებოდა 30 კრედიტი, რომ გასულიყო, მისი თქმით ეს ისე გამოდიოდა, რომ აირჩია 90 კრედიტი, მათ შორის აირჩია სამაგისტრო ნაშრომი საჯარო მმართველობაში და შემდეგ უკვე საჯარო ადმინისტრირების მიმართულებიდან შეუძლია 30 კრედიტის არჩევა, სამართლის მიმართულებიდან შეუძლია 30 კრედიტის არჩევა, თუმცა შეთავაზებული აქვს 36, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ბლოკიდან შეუძლია 30 კრედიტის არჩევა 54 კრედიტიდან, რომლებიც თავის მხრივ მიმართულებების სწავლის შედეგებით კვალიფიკაციაზე არ გადის.

პროგრამის ხელმძღვანელმა დაუდასტურა აღნიშნული და ასევე კორექტირება შეიტანა, რომ არ იყო აუცილებელი, რომ სტუდენტს აერჩია 30 კრედიტი რომელიმე ერთი ბლოკიდან, ბლოკი არ ნიშნავდა აღნიშნულს. მისი თქმით, სტუდენტს შეეძლო ერთი საგანი აერჩია ერთი რომელიმე ბლოკიდან, ხოლო მეორე საგანი მეორე ბლოკიდან.
საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ გასაგები იყო სხვადასხვა მიმარულებიდან შეეძლო სტუდენტს საგნების არჩევა. ამასთანავე პროგრამის ხელმძღვანელს დაუსვა შეკითხვა, ნამდვილად ხომ არ ჰქონდათ მინიმუმები დადგენილი თუ რა უნდა აერჩიათ ბლოკებიდან.
პროგრამის ხელმძღვანელმა დაუდასტურა, რომ არ ჰქონდათ დადგენილი ასეთი მინიმუმები.
საბჭოს წევრმა დააკონკრეტა, რომ გასაგები იყო, უბრალოდ თითეულ სასწავლო კურსს თავისი შედეგები გააჩნდა, მან კითხვა დასვა საბოლოო ჯამში პროგრამის სწავლის შედეგებზე ხომ არ აისახებოდა.
პროგრამის ხელმძღვანელმა თქვა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები მთლიანად გამომდინარეობდა ძირითადი საგნებიდან.
დიმიტრი გეგენავამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, რადგანაც სამაგისტრო საფეხური იყო, სავარაუდოდ მან აღიქვა, როგორც სამაგისტროსთვის ეს აბსოლუტურად ნორმალური იყო, ანუ რომ არსებობდა რამდენიმე საგანი, რომელიც იყო მაპროფილებელი და საკვანძო, ასევე სამაგისტრო ნაშრომი, რომლითაც მიმართულების 50 % ივსებოდა, და ამით კვალიფიკაციაზე გადიოდა და ამით დანარჩენი რადგან სამაგისტრო პროგრამა იყო სტუდენტის შეხედულებაზე იყო დამოკიდებული, თუმცა 30 კრედიტი კიდევ ემატებოდა კვალიფიკაციის მაპროფილებელი.
საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა განმარტა, რომ მათი მიზანი იყო ზუსტი და სრული წარმოდგენა ჰქონოდათ იმასთან დაკავშირებით, რა გადაწყვეტილებასაც შემდგომ იღებდა საბჭო და აქვეყნებდა. მისი თქმით, ეს იყო მიზანი და მათ შორის საბჭოს ჰქონდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო და გაწერილი სწავლის შედეგები, რომელიც შედგენილი იყო საერთაშორისო დოკუმენტზე დაყრდნობით და პროგრამა წარმოდგენილი იყო 2019 წლის ოქტომბერში, რა დროსაც ის უკვე მუშაობდა და დანერგილი იყო. ყოველ სასწავლო კურსში მათ შორის პროგრამაში არ არის გაწერილი, სხვა სასწავლო კურსებში ის ჩაშლილი იყო 6 პუნქტად. მან დასვა კითხა თუ რითი იყო განპირობებული და რით აიხსნებოდა ეს საკითხი.
აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მათ რამოდენიმე საბჭოზე ჰქონდათ საუბარი და კომუნიკაცია. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილით მათ მიიღეს რამდენიმე აკრედიტაცია. მათთვის იმ კონკრეტულ ჩამონათვალში, არასტრუქტურულ ფაქტორზე და მათ შორის ცენტრსაც ჰქონდა რამდენიმე განმარტება გაკეთებული, მათთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა სტრუქტურულ ფაქტორს, აღებული იყო ეროვნელი დონე, შესაბამისი დონის მიხედვით გამოდიოდა მეშვიდე დონე, გაწერილი კომპეტენციები. მათთვის მნიშვნელოვანი იყო კომპეტენია თუ როგორ იყო ფორმულირებული, შესაბამისი საკვალიფიკაციო დონის მიხედვით, დაკმაყოფილებული იყო თუ არა და არა თავად 6 დონიან სტრუქტურულ ფაქტორთან. სტრუქტურა არ იყო გადამწყვეტი, მთავარი იყო შინაარსობრივი შესაბამისობა დონესთან. ყურადღება ამაზე იყო გამახვილებული. რა თქმა უნდა ექსპერტებმა შეამოწმეს აღნიშნული საკითხი და კომპეტენციების ვერ შესაბამისობა დონესთან არ იყო დადგენილი. თავიდან ბოლომდე შესაბამის დონეს ექსპერტებიც დაეთანხმებოდნენ, რომ შეესაბამებოდა შიგნით მოცემული ყოველი კომპონენტი, კომპეტენცია რაც იყო სწავლის შედეგებში მითითებული. მაგრამ იქიდან გამომდინარე, როგორც ხარისხის წარმომადგენელი, სულ ესწრებოდა აღნიშნულ საბჭოებს და იყო ხოლმე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საუბრები, მიუხედავად იმისა, რომ შინაარსობრივ პრობლემას ვერ ხედავდა, სტრუქტურული თვალსაზრისითაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ არ ჰქონდა მნიშვნელობა ახალი საკვალიფიკაციოთი იყო შემოტანილი, თუ ძველით, საკვალიფიკაციო სრულიად უნდა ყოფილიყო გადაყვანილი, თან ავტორიზაციასთან მიმართებაში რადგან შეიძლებოდა კიდევ დაისვას კომენტარები, მათი ინტერპრეტაცია იყო ასეთი. კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ სტრუქტურულ ნაწილზე ასეთი გადაწყვეტილება იყო, შინაარსობრივზე იმ შემთხვევაში კომპეტენციების თვალსაზრისით, რომ ის აკმაყოფილებდეს შესაბამის დონეს რა თქმა უნდა ამის პრობლემა არ იყო.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა ასევე დასვა კითხვა, თუ რატომ არ იყო პროგრამაში წინაპირობების საკითხი, სასწავლო კურსებში თვითონ წინაპირობები იკითხებოდა, სტუდენტებისთვის ხომ არ იყო უფრო მოქნილი, რომ პროგრამაში წინაპირობების საკითხი გამოკვეთილი ყოფილიყო.
ხარისხის ხელმძღვანელმა თქვა, რომ პროგრამაში ისინი დაშვების წინაპირობებს არ წერდნენ, აღნიშნული მხოლოდ საგნებში იწერებოდა და შესაბამისი წინაპირობების მატრიცა ჰქონდათ მოცემული, რომელი იგზავნებოდა შესაბამის შემთხვევაში ლექტორებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არსებობდა, კონკრეტულად მოთხოვნა კონპეტენციასთან დაკავშირებით, რა ფაქტორები უნდა გაევლო სტუენტს, ძირითადად იქ იყო ორი კრიტერიუმი, რომლზეც როდესაც ავსებდა ანკეტა-კითხვას, უნივერსიტეტები აცხადებდნენ მისაღებ კონტიგენტს პროგრამაზე და უთითებდნენ შიდა შეფასების ფაქტორს, რომელიც პროგრამაში იყო ასახული და შიდა შეფასების ფაქტორთან მიმართებაში, ეს ორი ტიპის გამოცდა იყო მითითებული, ერთი გასაუბრება პროფესიაში ან შეფასება პროფესიაში და მეორე მხრივ ეს იყო ინგლისური ენა, რომელიც ძირითადად მოთხოვნილი იყო B2 დონეზე, რომელიც მიეთითებოდა ანკეტა-კითხვარში, რომელზეც naec-ის ამონაწერებიც არსებობდა ამასთან დაკავშირებით, და მეორე, პროგრამაში ეთითებოდა. იქ უბრალოდ იყო ერთი რაღაც, რომელებიც ექსპერტებმა შეამჩნიეს და სამწუხაროდ მათ გამორჩათ. ერთადერთი საკითხი იყო რჩევაში B2 დონესთან მიმართებაში ინგლისური ენის კომეპტენციის. ამაში ისინიც ეთანხმებოდნენ, რადგან მათაც გამორჩათ და ამიტომ იყო გარე შეფასება მნიშვნელოვანი კომპონენტი და რა თქმა უნდა B2-ის მიწერა არ იყო პრობლემა, მაგრამ გამჭირვალობის თვალსაზრისით, ეს მაინც ხდებოდა, რადგან ისე იყო ქვეყანაში სტრუქტურა აგებული.
საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტებს, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაში უცხოენოვანი კომპონენტები უნდა დაზუსტებულიყო.
ხარისხის ხელმძღვანელმა თქვა, რომ ისინიც ეთანხმებოდნენ და აღნიშნული მართლაც ტექნიკური საკითხი იყო.
საბჭოს წევრმა იკითხა, რომ მას კონკრეტულად ერთ სასწავლო კურსთან დაკავშირებით აინტერესებდა, კონტრაქტის სამართლებრივი რეგულაცია თავად სილაბუსში არ იკითხებოდა, არ იყო გაწერილი რა შედეგებს აძლევდა, არ იყო ჩაშლილი თემატიკა. მან თხოვნით მიმართა, რომ ეს შესაძლოა ტექნიკური პრობლემა ყოფილიყო და გადაეხედათ ამ საკითხისთვის.
პროგრამის ხელმძღვანელმა თქვა, რომ ის აუცილებლად და დეტალურად განიხილავდა სილაბუსს. ეს იყო არჩევითი საგანი და არა ძირითადი საგანი და შესაბამისად პროგრამის შედეგებზე საგანი გავლენას არ ახდენდა, თუმცა დეტალურად ჩაიხედავდა.
სხდომის თავმჯდომარემ თქვა, რომ მასაც ჰქონდა ეს კითხვა მონიშნული და მისი თქმით ალბათ შეცდომა იყო, რადგანაც უნივერსიტეტს ჰქონდა ხოლმე სილაბუსის ფორმა და ლექტორის მოსვლისას სთავაზობს მას, რომელიც წერდა ამ ფორმაში.
ხარისხის ხელმძღვანელმა თქვა, რომ მას შეეძლო თავიდან ბოლომდე აეხსნა, თუ რა პროცედურას გადიოდა ახალი ლექტორი იმისათვის, რომ მას დაეკმაყოფილებინა ახალი ფორმა, ასევე შიდა კრიტერიუმები.
სხდომის თავმჯდომარემ თქვა, რომ ეს არ იყო პრობლემა. მათთვის ცნობილი იყო როგორ წარმოებდა ეს პროცესი მათ უნივერსიტეტში და თხოვა ყურადღება მიექციათ ამ საკითხისთვის.
სხდომის თავმჯდომარემ თქვა, რომ მას ექნებოდა კითხვა ისევ სილაბუსებთან დაკავშირებით. მას ჰქონდა ერთი რჩევა საჯარო სერვისების პოლიტიკა და მენეჯმენტის სილაბუსთან მიმართებით. იქ მითითებული იყო ძირითადი ლიტერატურა, უფრო ზუსტად კი მითითებული იყო დასკვნები, რაც ალბათ საგნის სფეროდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, იმ ძირითად ლიტერატურაში კვლევების შეტანა ალბათ აუცილებელი იყო. დაინტერესებულს უნდა სცოდნოდა თუ სად იყო განთავსებული ლიტერატურა, რედაქტორი ჰყავდა თუ არა, ასევე მისი თქმით უმეტეს შემთხვევაში წელიც არ იყო მითითებული და თხოვა, რომ დაეკონკრეტებინათ აღნიშნული საკითხი. მას ასევე ჰქონდა რჩევა. მისი თქმით ბევრი უნივერსიტეტი აკეთებდა ამას, და ისინიც აკეთებდნენ იურიდიულ ფაკულტეტზე, ზოგიერთ სილაბუსში ეს ასევე იყო, როდესაც

ისინი უთითებდნენ ძირითად ლიტერატურაში ნორმატიულ მასალას და მისი აზრი ყოველთვის იმაში მდგომარეობდა, რომ ნორმატიული მასალა ლიტერატურა არ იყო. ლიტერატურა იქნებდა ეს მონოგრაფია, სახელმძღვანელო, გადაწყვეტილება და ა.შ., ნორმატიული მასალა იყო სამართლის წყარო ქვეყანაში და ის რაც ეფუძნებოდა დარგის შესწავლას ეს იყო შემეცნების წყარო. მან კიდევ გაიმეორა, რომ ეს შეხედულების საკითხი იყო და შეიძლება დარჩენილიყო, მაგრამ მისთვის უკეთესი იქნებოდა ძირითადი ლიტერატურა ყოფილიყო შემეცნებით წყაროდ გამყარებული და შეიძლება გამოყოფილიყო პატარა სათაურით „ნორმატიული მასალა“ და ჩამოწერილი ყოფილიყო, რომ სტუდენტს ცოდნოდა რა კანონი უნდა ჰქონოდა მას ხელთ.

ხარისხის ხელმძღვანელმა თქვა, რომ ეს შეიძლებოდა ცალკე ბლოკად გამოყოფილიყო და ჩამოწერილიყო.

სხდომის თავმჯდომარემ ასევე თქვა, რომ საგანში „საჯარო პოლიტიკის ანალიზში“ საკითხები კარგად იყო ჩამოწერილი და ის მხოლოდ უცხოენოვან წიგნებს შეხვდა და არ იყო ქართულენოვანი, მაგრამ რადგან წინაპირობა იყო ინგლისური ენის B2 დონე, და საგანი იყო ნაწილობრივ ინგლისურ ენაზე, ეს აღარ იყო პრობლემა, რადგან ისინი ვერ მიიღებდნენ ისეთ სტუდენტს, რომელსაც ინგლისურის ეს დონე არ ეცოდინებოდა. მან თქვა, რომ მას დამატებითი კითხვები არ ჰქონდა, უსურვა წარმატება და მათი საერთაშორისო აკრედიტაცია იქნებოდა კარგი. მათ ჰქონდათ საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე ევროპული აკრედიტაცია და თქვა, რომ თუ მათ რაიმე კონსულტაცია დასჭირდებოდა მზად იყო დახმარებოდა.

მანანა კევლიშვილმა თქვა, რომ მას ჰქოდნა ერთი კითხვა. მისი თქმით, მართალია ის არ იყო დარგის სპეციალისტი, მაგრამ ჰქონდა შეკითხვა, რომ პროგრამაში არ იყო პრაქტიკა.

პროგრამის ხელმძღვანელმა კი თქვა, რომ მათ ჰქონდათ პრაქტიკა. „პრაქტიკა საჯარო სექტორში“ არჩევით საგანში იყო წარმოდგენილი. მისი თქმით, როგორც წესი მაგისტრატურის სტუდენტებს ყველას ჰქონდა სამუშაოს გამოცდილება, ამიტომ პრაქტიკამ ასახვა არ ჰპოვა ძირითადი კურსების ნაწილში.

მანანა კევლიშვილის თქმით, სტუდენტები პრაქტიკაზე ისეთ მნიშვნელოვან თემას აღმოაჩენდნენ, რომ მას შეეძლო მათი სამაგისტრო ნაშრომი განესაზღვრა.

პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, მათ სხვათაშორის არ ჰქონდათ წინა აკრედიტაციის პერიოდში და რეაკრედიტაციის დროს აუცილებლობად ჩათვალეს, რომ დაემატებინათ არჩევით საგნად, ანუ თუ სტუდენტს გამოუჩნდებოდა კარგი შესაძლებლობა ან არასამთავრობო ორგანიზაციაში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში ან თუნდაც საჯარო სამსახურის ცენტრალიზებული პროგრამით ან სხვა ვარიანტით, რომ გაიაროს პრაქტიკა, ისინი მათ აღნიშნულ საშუალებას აძლევდნენ არჩევით ბლოკში და მათ შეეძლოთ დარჩენი 30 კრედიტიდან კრედიტების ნაწილი დაეთმოთ პრაქტიკისთვის და ამაში აეღოთ კრედიტი. ამისთვის, ცხადი იყო, რომ სილაბუსში ბევრი რეგულაცია იდო, რომ გამოერიცხათ ის შემთხვევები, როდესაც ფორმალურად რეგისტრირდებოდნენ მაგალითად არასამთავრობო ორგანიზაციაში და რეალურად არ გადიოდნენ ამ პრაქტიკას, არ მუშაობდნენ და საბოლოო ჯამში ეთვლებოდათ კრედიტად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ იგივე ჯიპას საჯარო ადმინისტრირების პროგრამებზე მოდიოდნენ ან საჯარო უწყებების წარმომადგენლები, იგივე ბევრ უნივერსიტეტში, რომლებსაც საჯარო სექტორში უკვე დასაქმების პრაქტიკული გამოცდილება ჰქონდათ ან იმჟამადაც დასაქმებულები იყვნენ ან მომავალში ვისაც სურდა დასაქმებულიყო, მაგრამ პრაქტიკა მხოლოდ და მხოლოდ შეიძლება შეხებოდა მათ, ვისაც დასაქმების პერსპექტივა აქვთ, ანუ ჯერ არ არიან დასაქმებულები და ამ მხრივ რეალურად კიდევ ერთი შეზღუდვა, ანუ სავალდებულოდ ვერ შეთავაზებდნენ ეს პრობლემა მათ ჰქონდათ და მეორე სავალდებულო შეთავაზების ხელშემშლელი ფაქტორი იყო ის, რომ საჯარო უწყებებში დასაქმების პირობები, იმ შემთხვევაში საერთო სტაჟირების ერთიანი პროგრამების გამოცხადების პირობებში ხორციელდებოდა და კონკრეტულ ადგილებს, ის რომ მათი სტუდენტებისთვის შეეთავაზებინათ კონკრეტული ვაკანსიები, მათ ეს პრაქტიკა არ ჰქონდათ. რადგან თავად სისტემა საჯარო სექტორში - სტაჟირების გავლის და მსგავსი სხვა კონკრეტული საკანონმდებლო რეგულაციებით

იყო შეთავაზებული და მხოლოდ საკონკურსო პირობებს ითვალისწინებდა, ამიტომ ვისთვისაც არ უნდა ყოფილიყო, ნებისმიერი უნივერსიტეტისთვის, თუ ჰქონდა დრო და არ იყო დასაქმებული, ის იღებდა სტაჟირებაში მონაწილეობას. ამას ვერ აიცილებდნენ ვერანაირად. მათ რა თქმა უნდა საჯარო სექტორის მიღმაც გაეკეთებინათ აქცენტი, მაგალითად არასამთავრობო სექტორი, რომლის თემატიკა საჯარო სექტორთან ადეკვატური იქნებოდა, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც სავალდებულოდ თვლიდნენ, რომ მაინც არ იყო საჭირო.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ დაამატა, რომ მენეჯმენტის კუთხით ძნელი იყო გაევლო ზღვარი ვინც მუშაობდა და უნარ-ჩვევებს იღებდა. მაშინ ზუსტად უნდა ყოფილიყო გაწერილი რა პარამეტრებზე უნდა გასულიყო პრაქტიკული უნარ-ჩვევები. იმის დარეგულირება, რომ ზოგმა თავად აირჩია და მუშაობს, ხოლო ზოგისთვის არჩევითი იყო, შემდეგ იმისთვის კრედიტებში აკუმულირება უფრო ძნელი იქნებოდა. შესაბამისად მისი რჩევა, იყო პროგრამის ხელმძღვანელობა დაფიქრებულიყო, რადგან მათ მიერ წარმოდგენილი სტრუქტურით, სტუდენტებს არჩევის შესაძლებობა ჰქონდათ და გამოდიოდა ისე, რომ ზოგიერთი გადიოდა პრაქტიკას, ზოგი არა. რეალურად კი ყველა თანაბარ პირობებში უნდა ყოფილიყო.

ექსპერტა ჯგუფის წევრმა დაამატა, რომ მთავარი აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ სტუდენტთა ძირითადი ნაწილი როდესაც მუშაობდა, თუნდაც არ მუშაობდა მაგრამ აპირებდა მუშაობის დაწყებას, პროგრამა ვერ აიძულებდა პრაქტიკის გავლას ანაზღაურების გარეშე, როდესაც საუბარი იყო მაგისტრატურის საფეხურზე, სტუდენტთა ძირითადი ნაწილი სწავლის საფასურს იხდიდნენ სწორედ საკუთარი ანაზღაურებით და რეალურად ეს ძალიან რთული იყო და პრობლემას შეუქმნიდა, რადგან სტუდენტს არ ექნებოდა სწავლაზე ორიენტირებული გარემო. შესაბამისად სტუდენტს ვერ აიძულებდნენ ემუშავა ანაზღაურების გარეშე და შესაბამისად ეს იყო ოპტიმალური ვარიანტი მათი მსჯელობის დროს, რომ პრაქტიკა ყოფილიყო არჩევითი და პროგრამა სწავლის შედეგებზე პრაქტიკის შედეგებზე მაინც გადიოდა.

დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ რომ ეს იყო ბატონი გიორგის რჩევა და მას არანაირი მბოჭავი ძალა არ ჰქონდა, რადგან მისი თქმით, პრაქტიკა საერთოდაც, რომ არ ყოფილიყო არანაირი პრობლემა არ იქნებოდა. თუ საერთოდ ყოფნა არ იყო პრობლემა, მაშინ არჩევითად ყოფილიყო. მისი პირადი აზრით, პრაქტიკა უნდა ყოფილიყო სამაგისტრო პროგრამაზე თანაც თუ ის სამაგისტრო ნაშრომის წერშიც დაეხმარებოდა, ძალიან კარგი იქნებოდა. მაგრამ ეს არ იყო სავალდებულო ხასიათის. ამიტომ უბრალოდ რჩევის სახით სამომავლოდ მათ შეეძლოთ მიეღოთ მხედველობაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ერთი განმარტება გააკეთა. მისი ვარაუდით, პრაქტიკის შემოღება არჩევითად იქნებოდა იდეალური გადაწყვეტილება და უკვე აღარ დარჩებოდა სტუდენტთა ის კატეგორია, რომელიც სამსახურის გარეშეა ან დარჩებოდა არჩევითის სტატუსის პირობებში სწორედ ამ შედეგების უზრუნველყოფის გარეშე. მათ ესაუბრეს სტუდენტებს, რომლებიც არ მუშაობდნენ ამ შემთხვევაში პრაქტიკაში იღებდა მონაწილეობას. მისი თქმით, რაღაც დონეზე ალბათ დათქმაც იყო. მაგრამ კარგი იყო პროგრამულად ეს აღნიშნულიყო და გაწერილიყო.

საბჭოს წევრმა იკითხა, რომ როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა დასკვნაში აღნიშნა, რომ სტუდენტები სრულ სემესტრს არ იღებდნენ, ამიტომ სტიპენდიები ვერ ენიშნებათ და მისი კითხვა, იყო თუ რითი აიხსნება ეს.

ექსპერტის წევრმა თქვა, რომ ზოგადად სტიპენდიის გაცემის წესი იყო, რომ სტუდენტს სემესტრში 30 კრედიტი უნდა დაეგროვებინა თუმცა გამომდინარე იქიდან რომ პროგრამაზე სტუდენტთა უმეტესობა მუშაობდა, ისინი არ იღებდნენ სემესტრულად 30 კრედიტს და ერჩივნათ აეღოთ ნაკლები კრედიტი, მაგალითად 15 ან 20 და შესაბამისი თანხა გადაეხადათ, და შესაბამისად სემესტრის ბოლოს როდესაც ისინი 30 კრედიტს ვერ აგროვებდნენ სტიპენდიაც ვერ დაენიშნებოდათ. მათ სწორედ ამიტომ შეთავაზეს, რომ დაენერგათ სტიპენდიის უფრო მოქნილი მექანიზმი. პროგრამა წესით 2 წელიწადში სრულდებოდა, მაგრამ სტუდენტები ანაწილებდნენ კრედიტებს და შეეძლოთ უფრო მეტი წელი ესწავლათ და უფრო ნაკლები დატვირთვით, რომ უფრო კარგად ესწავლათ.

კითვა გაჩნდა თუ რამდენი წელი შეეძლოთ ესწავლათ სულ და შიდა რეგულაცია ხომ არ ჰქონდათ.
ექპერტთა თავმჯდომარის განმარტებით მათ არ ჰქონდათ არანაირი შეზღუდვა.
დიმიტრი გეგენავას განმარტებით, ეს ძალიან კარგი პრაქტიკა იყო მაგრამ ბევრი უნივერსიტეტი არ უშვებდა ასეთ შესაძლებლობას, რომ 30 კრედიტზე ნაკლები აერჩიათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი -0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევა:

გაიმიჯნოს საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება და სტუდენტებისათვის გაწერილი იყოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გაცილებით დეტალური ინსტრუქცია და შესაბამისი მოთხოვნები.

რჩევა:

სასურველია დაწესებულების მენეჯმენტმა განსაზღვროს პრაქტიკის სავალდებულოობის მიზანშეწონილობა და მისი საჭიროების დადგენის შემთხვევაში უზრუნველყოს სტუდენტებისთვის თანაბარი პირობების არსებობა. კერძოდ, ან სავალდებულო იყოს ყველა სტუდენტისთვის მისი გავლა (ჩათვლა) ან არ მოხდეს პრაქტიკისთვის კრედიტის მინიჭება.

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციის შესახებ

აკრედიტაციის საბჭომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია.

2. მეორე საკითხი:
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 26 თებერვლის N50, 6 თვე
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0192, დ. გურამიშვილის გამზირი N17, კორპ. N11
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

დიმიტრი გეგენავამ განაცხადა თვითაცილება.
თვითაცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ის წარმოადგენდა ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის პროგრამის ანგარიშზე რეკომენდაციებს, რომლებიც გაცემული იყო ექსპერტების მიერ და გააცნობდა თითოეულ მათგანს.
პირველი რეკომენდაციის მიხედვით უნდა გასოწრებულიყო კურიკულუმში მითითებული ლინკი უნივერსიტეტის შესახებ, რადგან იგი არასწორ ინფორმაციას წარმოადგენდა. მისი თქმით რეკომენდაცია შესრულდა, პროგრამაში წარმოდგენილი აიოვას უნვერსიტეტის ლინკი გასწორებული იყო და მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო პროგრამა.

მეორე რეკომენდაცია ეს იყო პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდ ჩამოყალიბებულიყო კურსდამთავრებულის კომუნიკაციის უნარი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად. რეკომენდაცია შესრულდა, პროგრამის სწავლის შედეგებში ჩამოყალიბდა კურსდამთავრებულის კომუნიკაციის უნარი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად. შესაბამისად გასწორდა კომუნიკაციის უნარი. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ნიადაგის და წყლის რესურსების ინჟინერია.

მესამე რეკომენდაციის მიხედვით უნდა გაუმჯობესებულიყო უცხო ენის სწავლება მათ შორის უნდა განხილულიყო მინიჭებული კრეტიდის გაზრდის საკითხი. მან ბრძანა, რომ რეკომენდაცია შესრულებული იყო. უცხო ენის სწავლება, გაზრდილი იყო მინიჭებული კრედიტების რაოდენობა, რაც ასახული იყო პროგრამაში და პროგრამაც წარმოდგენილი იყო. გარდა ამისა სილაბუსებში უცხო ენა 1 და უცხო ენა 2 დანართი წარმოდგენილი იყო. გარდა ამისა, მათ თქვა, რომ მათ სურდათ აღენიშნათ, რომ უნივერსიტეტსი მიღებული იყო და მოქმედებდა უცხო ენის კურსები, ეს იყო სტუდენტებისთვის და მათ შეეძლოთ B2 დონეს უსასყიდლოდ დაუფლებოდნენ და გაეღმავებინათ ცოდნა მათ უნარ-ჩვევებში.

მეოთხე რეკომენდაციის მიხედვით, მათ ჰქონდათ ფაკულტეტზე დამტკიცების ოქმი. ამ რეკომენდაციის მიხედვით უნდა გაუმჯობესებულიყო სწავლის შედეგების გეგმა და ანალიზის შესაძლებლობა იმისთვის, რომ მკაფიოდ ყოფილიყო განსაზღვრული შემდეგი საკითხები: პროგრამას ჰქონდა სამიზნე ნიშნულები თითეული სწავლის შედეგისათვის, ხდება სწავლის შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულების დადარება. მისი თქმით რეკომენდაცია შესრულებულ იქნა, დახვეწილ იქნა სწავლის შეფასების გეგმაც, ცალკე დანართად იყო ჩადებული და ანალიზის შესაძლებლობები თუ როდის უნდა მომხდარიყო შეფასებები. მისი თქმით დაწესებულებას ასევე გააჩნდა სამიზნე ნიშნულები და რომელ სემესტრში ხდებოდა მათთან დადარება, ასევე მათ განსაზღვრული ჰქონდათ მათი პროცენტიც. ამის მტკიცებულება იყო თავად პროგრამა. უნდა დაგეგმილიყო პროგრამის და შეფასების განვითარების წესი, ხარისხის სამსახურის დებულება, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, რომელიც excel- ის ფორმატით იყო ჩადებული და საბჭოს შეეძლო ენახა

მეხუთე რეკომენდაცია შეეხებოდა ლიტერატურას, რადგან დაწესებულება აღიარებდა, რომ გასაუმჯობესებელი მხარე იყო ქართულენოვანი ლიტერატურის სიმცირე. მისი თქმით ეს იყო აიოვას პროგრამა და კონკრეტულად უნდა შეფასებულიყო თუ რომელი ძირითადი სასწავლო კურსის ლიტერატურა მოითხოვდა გაუმჯობესებას და აღნიშნული საკითხი უნდა აღნიშნულიყო პროგრამის განვითარებისთვის. მისი თქმით რეკომენდაცია შესრულებულ იქნა, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან შეთანხმებით ხორციელდებოდა დამატებით ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების და სალექციო კურსების თარგმნა, შედგენა და გამოცემა და ფაკულტეტი და უნივერსიტეტი ხელს უწყობდა აღნიშნული მიმართულებით აკადემიური პერსონალის მუშაობას. ამის მტკიცებულებები წარმოდგენილი იყო დანართის სახით. ეს იყო ბონუსის გაცემის წესი, პერსონალის შეფასება, პერსონალის პროფესიული განვითარება, ხოლო დანართ შვიდში მოცემული იყო გამოცემული სახელმძღვანელოები და დასკანირებული იყო მათი პირველი გვერდები. ასევე მოცემული იყო ნათარგმნი სალექციო კურსები და ამონაწერი ოქმიდან, რომელზეც იქნა მიღებული სალექციო კურსები.

მეექვსე რეკომენდაციით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნდა შეექმნა მდგრადი პრაქტიკა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, რომ პროგრამის ხელმძღვანელი სათანადოდ იღებდეს მხარდაჭერას სწავლის შედეგების გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისათვის. მისი თქმით ეს რეკომენდაციაც შესრულებულ იქნა, მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა, მატერიალური წახალისების თვალსაზრისით, პერსონალის მოტივირების მიზნით, კერძოდ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში დანერგილი იყო წახალისების სისტემა, რომელიც ასევე მტკიცებულების სახით იყო წარმოდგენილი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გააჩნდა მდგრადი პრაქტიკა, რის შედეგადაც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მდივად იღებდა სათანადო მხარდაჭერას სწავლის შედეგების

შედგენის გაზომვის და ანალიზის უნარის განვითარებისათვის. დანართი სამში მოთავსებული იყო პერსონალის პროფესიული განვითარება, ბონუსის გაცემის წესი, პერსონალის შეფასების შედეგები, სილაბუსის დამტკიცების წესი, პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი. დანართი 4-ში მოთავსებული იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, და დანართში 5-ში კითხვარები იყო მოცემული, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებდა გამოკითხვები.

მეშვიდე რეკომენდაციის მიხედვით სასწავლო კურსში უნდა დამატებულიყო ის ძირითადი ლიტერატურა რომელიც უზრუნველყოფდა იმ სწავლის შედეგებს, რომლებიც მიიღწეოდა საკურსო სამუშაოს პრაქტიკული ან ლაბორატორიული სამუშაოს შესრულებით. მისი თქმით, რეკომენდაცია შესრულებულ იქნა, სილაბუსის ავტორებმა დაამუშავეს და გამოსაცემად იყო პრაქტიკული და საკურსო სამუშაოს შესრულებისათვის განკუთვნილი მასალა შემდეგი სილაბუსებისთვის: სითხეები მექანიკა, აგრო საინჟინრო პროექტირება 1, აგრო საინჟინრო პროექტირება 2, ნიადაგისა და წყლის დაცვის სისტემების დაპროექტება და შეფასება, ნიადაგისა და წყლის მონიტორინგის სისტემების დაპროექტება. აქ მტკიცებულებები წარმოდგენილი იყო პროგრამის სახით და დანართი 1-ში. ხოლო დანართი 3-ში ასევე ბონუსის გაცემის წესი, პერსონალის შეფასება, პერსონალის პროფესიული განვითარება და დანართი 7-ში კი მომცემული იყო ის სახელმძღვანელოები და ლიტერატურა, რაც შემუშავდა იმ პერიოდში.

მერვე რეკომენდაციით პროგრამის თვითშეფასებაში, გასაუმჯობესებელ მხარეებში წარმოდგენილი იყო სტუდენტებისთვის საერთაშორისო კონფერენციებში, ღონისძიებებში და კვლევებში ხელშეწყობის გაძლიერება, შესაბამისად განვითარების სტრატეგიების და დანერგილი აქტივობებს უნდა მოეცვა აღნიშნული საკითხები. მისი თქმით რეკომენდაცია შესრულებულ იქნა. ხორციელდებოდა სტუდენტებისათვის საერთაშორისო კონფერენციებში, ღონისძიებებში და კვლევებში ხელშეწყობა. მტკიცებულებები წარმოდგენილი იყო დანართი 3 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და დანართი 6 - სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობა და დაჯილდოების შესაბამისი საუნივერსიტეტო ბრძანებები.

მეცხრე რეკომენდაციით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნდა ჰქონოდა პროგრამის მონიტორინგის და შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმის დროში გაწერილი პროცედურები, სისტემატიური და რეგულარული გამოყენების უზრუნველყოფისათვის. ამ მიმართულებით გასაუმჯობესებელი იყო გამოკითხვის სისტემა, რომელიც სტუდენტს საშალებას მიცემდა შეეფასებინა სავალდებლო კურსები სემესტრის დასასრულს მისი დამუავებისა და შემდგომი რეაგირების მექანიზმის ჩათვლით. მისი თქმით, რეკმენდაცია შესრულებულ იქნა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გააჩნდა პროგრამის მონიტორინგის და შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმის დროში გაწერილი პროცედურები, სისტემატიური და რეგულარული გამოყენების უზრუნველყოფისათვის, ხორციელდებოდა გამოკითხვის სისტემა, რომელიც სტუდენტს საშალებას მიცემდა შეეფასებინა სავალდებლო კურსები სემესტრის დასასრულს, რომლის შედეგადაც ხორციელდებოდა შედეგების ანალიზი და შემდგომი რეაგირების პროცედურები. მტიკიცებულებები წარმოდგენილი იყო ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დანართი 3-ში, პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების და შეფასების განვითარების წესი, რომელიც გაწერილი ჰქონდათ მათ აღნიშნული პროცედურები, პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის განხორციელებულ იქნა აქტივოებები, ბონუსის გაცემის წესი, პერსონალის შეფასების ანალიზი და ხარისხი 4-ში ხარისხის უზრუნველყოფის დებულება, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, რომელიც ასევე excel-ით იყო წარმოდგენილი.

შემდეგი იყო კითხვარები, რომლებიც წარმოდგენილი იყო დანართი 5-ში, ის კითხვარები რომლის მეშვეობითაც ფაკულტეტზე ხორციელდებოდა გამოკითხვები.

მეათე რეკომენდაციით, უნდა შემუშავებულიყო შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა პროგრამის სამიზნე ნიშნულების დადგენას, პროგრამის თითეული სწავლის შედეგისათვის რაც გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების

მონიტორინგისათვის და სამიზნე ნიშნულების დადარებისათვის. მისი თქმით რეკომენდაცია შესრულდა, შემუშავდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელმაც უზრუნველყო პროგრამის სამიზნე ნიშნულების დადგენა, პროგრამის თითეული სწავლის შედეგისათვის რაც გამოყენებულ იქნა სწავლის შედეგების მონიტორინგისათვის და სამიზნე ნიშნულების დადარებისათვის. ეს წარმოდგენილი იყო დანართი 3-ში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებო. პროგრამის გარდა, დადგენის, შემუშავების და განვითარების წესი, პერსონალის პროფესიული განვითარება. დანართი 4-ში წარმოდგენილი იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც დროში იყო გაწერილი, ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, აგრეთვე წარმოდგენილი იყო excel-ის ფაილით და დროში გაწერილი და დანართი 5 - კითხვარები, რომლის მეშვეობითაც ფაკულტეტზე ტარდებოდა გამოკითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ თქვა, რომ თუ უნივერსიტეტის სხვა რომელიმე წარმომადგენელს არ სურდა რაიმის დამატება, ის მიმართავდა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ რაიმე კითხვა პროგრამის ანგარიშთან დაკავშირებით. საბჭოს თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ მათ არ ჰქონდათ კითხვები და შეეძლოთ დაესრულებინათ ანგარიშის მოსმენა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

3.მესამე საკითხი: სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეცხოველეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 05 მარტის N56 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი
8		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0192, დ. გურამიშვილის გამზირი N17, კორპ. N11
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

დიმიტრი გეგენავამ განაცხადა თვითაცილება.
თვითაცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებული იყო.
პირველი რეკომენდაციით, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და კომპეტენციები ნათლად უნდა ჩამოყალიბებულიყო, შესაბამისობაში მოსულიყო აგრარულ მეცნიერებათა კვალიფიკაციასთან. მისი თქმით რეკომენდაცია შესრულდა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, ცოდნა, უნარები და კომპეტენციები ნათლად ჩამოყალიბდა და შესაბამისობაში მოვიდა მისანიჭებელი აგრარული მეცნიერებათა დოქტორის კვალიფიკაციასთან. მტკიცებულებად და ინდიკატორებად მოცემული იყო დანართი 1 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მეცხოველეობა.
მეორე რეკომენდაციით, პროგრამის სწავლის შედეგების გამჭირვალეობისთვის გამიჯნულიყო და ცალ-ცალკე გაწერილიყო ზოგადი და დარგობრივი სწავლის შედეგები. მისი თქმით რეკომენდაცია შესრულებულია და სწავლის შედეგების გამჭირვალეობისთვის გაწერილი იყო ცალ-ცალკე ზოგადი და დარგობრივი სწავლის შედეგები, რომელიც უკვე დანართით იყო მოცემული. მტკიცებულებები და ინდიკატორები წარმოდგენილი იყო დანართი 1 სახით პროგრამა მეცხოველეობა და სილაბუსების სახით.
მესამე რეკომენდაციით დაზუსტებული იყო სწავლის შედეგების კრიტერიუმები. მისი თქმით კრიტერიუმები დაზუსტებული იყო. მტკიცებულებად წარმოდგენილი იყო დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მეცხოველეობა და დანართი 5 სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი რომელიც დროშია გაწერილი.
მეოთხე რეკომენდაციით შედგენილი იქნა მიზნების შედეგებთან კავშირის რუკა. მისი თქმით რეკომენდაცია შესრულებულია, შედგენილია მიზნების შედეგებთან კავშირის რუკა მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი იყო დანართი1 მეცხოველეობა და დანართი 5 სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი რომელიც ასევე დროში იყო გაწერილი.
მეხუთე რეკომენდაციით ძირეულად ყოფილიყო კორექტირებული კომპეტენციის რუკა. მისი თქმით კომპეტენციის რუკაში ფორმულირებული იყო სწავლის შედეგები ისეთი ფორმულირებით, რომ ყოფილიყო გაზომვადი და შეფასებები. მისი თქმით რეკომენდაცია შესრულებული იყო. ძირეულად იქნა დაკორექტირებული კომპეტენციის რუკა. მასში სწავლის

შედეგები ისე ფრმულირდა, რომ აღქმადი და შეფასებადი იყო. მტკიცებულებად წარმოდგენილი იყო დანართი ერთი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მეცხოველეობა და დანართი 5 სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

მეექვსე რეკომენდაციით შედგენილ ყოფილიყო სწავლის პრაქტიკული შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც ასახავდა თუ როგორ ფასდებოდა პროგრამის პრაქტიკული შედეგები და შემუშავებული უნარები. მისი თქმით რეკომენდაცია შესრულებულია, შედგენილი იქნა სწავლის პრაქტიკული შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი, რომელიც ასახავდა თუ როგორ ხდებოდა პროგრამის პრაქტიკული შედეგები და შემუშავებული უნარები. ასევე იგი დროში იქნა გაწერილი და მას გააჩნია ინდიკატორებიც. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო დანართი 1 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მეცხოველეობა და დანართი 5 სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

მეშვიდე რეკომენდაციით პროგრამაში დაზუსტებულიყო წინაპირობები და მკაფიოდ გაწერილიყო თუ რომელი დონის უცხო ენის ცოდნა მოეთხოვებოდათ დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველებს და როგორ ჩატარდებოდა გამოცდა. მისი თქმით რეკომენდაცია შესრულდა. პროგრამაში დაშვების წინაპირობები დაზუსტდა და მკაფიოდ გაიწერა თუ რომელი დონის უცხო ენის ჩაბარება მოეთხოვებოდათ დოქტორანტურის სტუდენტებს. აღნიშნული გაწერილ იქნა დაშვების წინაპირობებში და ასევე თუ როგორი სახით ჩატარდებოდა გამოცდები უცხო ენაში. მტკიცებულებად მითითებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის დებულება, დოქტორანტურაში ჩაბარების პირობები, ენის ტესტები და საგანმანათლებლო პროგრამა მეცხოველეობა.

მერვე რეკომენდაციით დაზუსტებულიყო საფაკულტეტო კომისიასთან გასაუბრება, მისი ფორმატი, ტესტირება, საკითხები სპეციალობაში, საკვლევი თემატიკა და ა.შ. მისი თქმით რეკომენდაცია შესრულებულ იქნა. სავლებად წარმოდგენილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის დებულება რომელშიც მკაფიოდ იყო გაწერილი საფაკულტეტო დროებით კომისიასთან გასაუბრების ფორმატი, სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის კრიტერიუმები ეს იყო მუხლი 1, 7, 8, 9, 10, 11, 12, 14, 15, 16, 17, 18, 20. გარდა ამისასაქართველოს უნივერსიტეტის დებულება, დოქტორანტურის დებულება, დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები, მითითებული იყო ლინკი და ოქმის სახით დამტკიცებული იყო კრიტერიუმები თუ როგორ ხდება გასაუბრება, გასაუბრების ფორმატი, რომელიც ფაკულტეტის საბჭოზე იყო დამტკიცებული.

მეცხრე რეკომენდაციით შედგენილიყო საფაკულტეტო დროებითი კომისიის მიერ შესაბამისობაში დადგენის მექანიზმი, მუხლი 5 პუნქტი 6, 7, 8, არ შეესაბამებოდა საკითხს. მისი თქმით რეკომენდაცია შესრულებულ იქნ.ა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურაში გაწერილი იქნა საფაკულტეტო დროებით კომისიასთან გასაუბრების ფორმატი. საუბარი იყო პირველ მუხლზე. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო დოქტორანტურის დებულება, დოქტორანტურაზე ჩაბარების პირობები, უცხო ენის ტესტები და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მეცხოველეობა და ასევე გასაუბრების ფორმატი, რომელიც ფაკულტეტზე იქნა შემუშავებული.

მეათე რეკომენდაციით სილაბუსებში დასუსტებულიყო შეფასების კომპონენტები და მეთოდები და შესაბამისობაში მოსულიყო სასწავლო კურსის სპეციფიკასთან და სწავლის შედეგებთან. მისი თითქმის რეკომენდაცია შესრულებული იქნა. სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გადახედილ იქნა და სასწავლო კურსების შინაარსის შესაბამისად დაკონკრეტდა სწავლის მეთოდები სილაბუსი შედეგებთან და მიეთითა მხოლოდ სპეციფიურად გამოყენებული სწავლის მეთოდები. მტკიცებულებები წარმოდგენილი იყო დანართი 2-ში სილაბუსების სახით იმ სილაბუსებში, რომელშიც შევიდა ცვლილება.

მეთერთმეტე რეკომენდაციით სასწავლო კურსების სილაბუსში უნდა გაწერილიყო სწავლის ის მეთოდები რომელიც გამოიყენებოდა სწავლის პროცესში. მისი თქმით რეკომენდაცია შესრულებულ იქნა. სასწავლო სპეციფიკიდან გამომდინარე სილაბუსში მითითებული იყო სწავლის პროცესში გამოყენებული მეთოდები. აღნიშნული წარმოდგენილი იყო მტკიცებულების

სახით დანართი 2-ში. მეთორმეტე რეკომენდაციით უნდა აღმოფხვრილიყო თემატური გადაფარვები შემდეგ სასწავლო კურსებში სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა, სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი, სათაური და შინაარსი დაზუსტებულ ყოფილიყო და შესაბამისობაში მოსულიყო პროგრამის სწავლის მიზნებთან და შედეგებთან. მისი თქმით რეკომენდაციას შესრულდა, აღმოიფხვრა თემატური გადაფარვები შემდეგ სასწავლო კურსებში: სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა, სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი. სასწავლო კურსი სამეცნიერო კომუნიკაციის შინაარსი ზუსტადაა შესაბამისობაში მოვიდა პროგრამის სწავლის მიზნებთან და შედეგებთან. დებულების სახით წარმოდგენილი იყო დანართი 2.

მეცამეტე რეკომენდაციით დოქტორანტურა კვლევის კომპონენტის შესრულება დაწყებულიყო პირველ სასწავლო წელს. მისი თქმით ეს პუნქტი შესრულებულ იქნა დოქტორანტი ნამდვილად პირველი წლიდან იწყებდა კვლევას, პირველი წლის მეორე სემესტრიდან და აღნიშნული წარმოდგენილი იყო დოქტორანტურის დებულებაში, დოქტორანტის პერსონალური გეგმაში, რომელსაც დოქტორანტი ადგენსპირველი სასწავლო წლის მეორე სემესტრში.

მეთოთხმეტე რეკომენდაციით დოქტორანტს საკვლევ თემასთან დაკავშირებული მინიმუმ ერთი სტატია უნდა გამოაქვეყნებინა შესაბამის გამომცემლობაში. მისი თქმით რეკომენდაცია შესრულდა, დოქტორანტი ვალდებული იყო დოქტორანტურაში სწავლების პერიოდში სადისერტაციო საბჭოში დასაცავად გამოექვეყნებინა სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია და მონაწილეობა მიიღო ერთ სამეცნიერო კონფერენციაში და ასევე ცვლილება შევიდა დოქტორანტურის დებულებაში, დაემატა ჟურნალი, რომელიც საშუალებას აძლევდა აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულიყო. მტკიცებულები და ინდიკატორები წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით და ასევე წარმოდგენილი იყო დანართი 3-ში.

მეთხუთმეტე რეკომენდაციით უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს შეფასების ფორმატში უნდა გაეთვალისწინებინათ პროგრამის და სასწავლო კურსები სპეციფიკა და დაეშვათ აკადემიური თავისუფლება. მისი თქმით ეს რეკომენდაციაც შესრულდა რადგან ეს ასეც იყო. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა შეფასების ფორმატში გაითვალისწინეს პროგრამის და სასწავლო კურსების სპეციფიკა და პედაგოგებს ქონდათ სრული თავისუფლება თავად აერჩიათ შეფასების ფორმა და შეფასების ფორმები განსხვავებული იყო. ამის მტკიცებულება იყო დანართი 1 დოქტორანტურის პროგრამა და დანართი 2 სილაბუსები.

მეთექვსმეტე რეკომენდაციით აღმოფხვრილიყო ტექნიკური შეცდომები და ხარვეზები თვითშეფასებაში. მისი თქმით, ეს რეკომენდაციაც იქნა გათვალისწინებული და წარმოდგენილი იქნა თვითშეფასების ანგარიში რომელშიც ის ტექნიკური ხარვეზები იყო გასწორებული და რომელიც იყო თვითშეფასების ანგარიშში.

სხდომის თავმჯდომარეს თქმით მას დააინტერესა მე-15 რეკომენდაციამ თუ რატომ ჩაწერეს ის ექსპერტებმა და რატომ იქნა გაზიარებული. ანუ მას აინტერესებდა სტანდარტიზებულ იყო თუ არა უნივერსიტეტში ეს ყველაფერი და იძლეოდა თუ არა აკადემიურ თავისუფლებას. რითი იყო ამ რეკომენდაციის ჩაწერის აუცილებლობა და საჭიროება წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ეს ჩანაწერი საერთოდ გაუგებარი იყო, რადგან ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებობდა აკადემიური თავისუფლება და ეს საკმაოდ კარგად იყო დაცული. ეს იქნებოდა კურიკულუმის და სილაბუსის შემუშავების დროს იგივე კრედიტების რაოდენობის განსაზღვრა, საათების რაოდენობის განსაზღვრა, სწავლა სწავლების მეთოდების განსაზღვრა, ანუ ის კრიტერიუმები რომლებსაც საქმის სპეციფიკა მოითხოვს აბსოლუტურად პედაგოგი თავისუფალია თავის არჩევანში და სილაბუსის შედგენაში თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე თუ როგორი ლექცია ექნებოდა მას თეორიული, პრაქტიკული, ლაბორატორიული თუ ასე შემდეგ. მისი თქმით ცოტა არ იყოს რეკომენდაციები უცნაურად იყო ჩამოყალიბებული რადგან მეორდებოდა ზოგიერთი მათგანი. მაგრამ ისინი რეკომენდაციები იყო და აუცილებლად მოითხოვდა შესრულებას. მაგრამ ეს მათ ისედაც ჰქონდათ ამ პროგრამის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს წევრი ნინო დობორჯგინიძის თქმით უნივერსიტეტის ანგარიშში აღნიშნული იყო ორი საგნის- სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და აკადემიური წერა და სილაბუსების გარკვეულწილად გადაფარვა აღმოფხვრილი იყო და ასევე სწავლების მიზნებთან იყო დაკავშირებული, დაახლოებული. მისი თქმით, სილაბუსებში, რომლებიც წარმოდგენილი იყო დანართი 2-ში, აკადემიური კვლევის და კომუნიკაციის ტექნიკაში სამი ძირითადი ლიტერატურიდან, რომელიც ცოტა პრობლემური იყო ამავე ინსტიტუციაში გამოცემული იყო თან არა რეფერირებადი, რა თქმა უნდა შეიძლებოდა მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი იქნებოდა სხვების გამოცდილების გაზიარებაც და ერთი ლიტერატურა კი საერთოდ არ იყო კავშირში. საუბარი იყო ბოლონიის პროცესთან უნივერსიტეტების შეერთებაზე, ხოლო დანარჩენი ლიტერატურა არანაირ კავშირში არ იყო, ის ძირითადად სასკოლო საგანმანათლებლო სივრცეს ეხებოდა. მას აინტერესებდა თუ რას გულისხმობდა დაწესებულება შინაარსის დაახლოებაში.
დაწესებულებამ დააზუსტა კითხვა მენეჯმენტთან დაკავშირებით ხომ არ იყო.
ქალბატონმა ნინომ განმარტა, რომ კითხვა შეეხებოდა სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკას.
დაწესებულების თქმით სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და ძირითადში მენეჯმენტი მათ სჭირდებოდათ იმისთვის მომზადებინათ არა მხოლოდ მეცნიერები არამედ პროფესორები, პედაგოგები, რომლებიც წაიკითხავენ ლექციებს. აქედან გამომდინარე არჩეულ იქნა ის საგნები აქედან გამომდინარე ჩამოყალიბდა. დაწესებულების თქმით მათ გაასწორეს სილაბუსი, რომელიც საბჭოს ადრე ჰქონდა და დღეს აღარ იყო ის გადაფარვები. მისი თქმით და რეკომენდაციებს იყო წარმოდგენილი მათ ის შეასრულეს.
ქალბატონი ნინო დობორჯგინიძის თქმით გადაფარვების გარდა ასევე საუბარი იყო შინაარსის პროგრამასთან დაახლოების მიზნებთან. გამოყენებული ლიტერატურა ამ მიზნებთან ვერ დაეხმარებოდა. მითუმეტეს ლიტერატურის ერთი ნაწილი საერთოდ არ ეხებოდა. ეთერ ღვინერიას წიგნი არაფერ შუაში არ იყო მეცხოველეობის მიზნებთან თუნდაც კვლევის მოსამზადებლად.
დაწესებულებამ მიმართა ქალბატონ ნინოს, რომ იქ საუბარი იყო სილაბუსების მოდიფიცირებაზე და მათ გაითვალისწინეს აღნიშნული რეკომენდაცია და გადაკვეთები აღმოიფხვრა. მათი თქმით იქ მეტი რეკომენდაცია არ ყოფილა, არც ლიტერატურასთან დაკავშირებით. რა რეკომენდაციაც იყო მათ შეასრულეს. ლიტერატურასთან დაკავშირებით იქ არ ყოფილა საუბარი, თორემ, რომ ყოფილიყო მასაც გააკეთებდნენ.
საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა განმარტა, რომ როგორც აღნიშნიშნა წარმოდგენილი რეკომენდაციები უნივერსიტეტმა სრულად გაითვალისწინა და რეალურად ისინი ყველა რეკომენდაციას დაეთანხმნენ და შეასრულეს. მაგალითად ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო სტუდენტს უნდა ჰქონოდა სწავლის დასრულებამდე რეფერირებად საერთაშორისო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია და დაწესებულება ამას დაეთანხმა. ეს შეიძლება იყო პროგრამის და უნივერსიტეტის ხასიათის თემა და შეიძლებოდა კონკრეტულ პროგრამას ჰქონოდა, ან არ ქონოდა, ან რატომ არ შეიძლება ჰქონდოდა. იმიტომ, რომ თუ ისინი გაითვალისწინებდნენ მათ სტატისტიკას, სტუდენტებს აქამდე არ ჰქონდათ გამოქვეყნებული სტატიები და ეს რამდენად იყო შესაძლებელი. ის იყო კონკრეტული ხასიათის თემა. რადგან თუ აქამდე სტატისტიკას აიღებდნენ და სტუდენტები აქამდე არ აქვეყნებდნენ, რამდენად იყო ეს შესაძლებელი, სავალდებულო იყო და საჭირო ამის ჩადება. მას გაუჩნდა კითხვა, თუ რატომ ითვლისწინებდა ან არ ითვალისწინებდა დაწესებულება ამას. მისი თქმით საინტერესო იქნებოდა პროგრამის ხელმძღვანელიდან პასუხის მოსმენა მიზნებში თუ რა ცვლილება მოხდა პროგრამაში და რა იყო მასში ახალი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ახალი პროგრამაა და დამამთავრებელი სტუდენტი მათ ჯერ არ ჰყოლიათ, შესაბამისად ამ კუთხით პრობლემა არ ჰქონიათ. სტუდენტები ვინც ახლები იყვნენ, მათთვის სავალდებულოს შესასრულებელი იყო. ასეთი დოქტორანტი, კურსდამთავრებული, რომელმაც გამოაქვეყნა რომელიმე 3 სტატია

რომელიც შედარებით ნაკლებ რეიტინგულ ჟურნალშია ფიზიკურად არ არსებობდა. ნაკლებ რეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნება და ისე აეღოთ დიპლომი ასეთი არ არსებობდა. ხოლო იმჟამად ვინც იყვნენ ისინი გამოაქვეყნებდნენ მაღალ რეიტინგულ ჟურნალში. ხოლო თუ ისინი არ გამოქვეყნებიდნენ, მაშინ ისინი ვერ დაიცავდნენ. მოსაუბრემ თქვა, რომ სანამ მეორე კითხვაზე გადავიდოდნენ ხომ არ ჰქონდათ იმ საკითხზე რაიმე შეკითხვა.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა განმარტა, რომ ერთი ნიუანსი იყო, რომ დოქტორანტებმა მიღების დროს დებულება არ იცოდნენ და ის შემდგომ შეიცვალა. ასევე, სასწავლო პერიოდში საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციაში გამოქვეყნებას სჭირდებოდა საკმაოდ დიდი დრო. ეს უბრალოდ კოლეგიური რჩევა იყო. მან თქვა რომ ის, რომ ყოფილიყო და ეს რეკომენდაცია მიეცათ არ მიიღებდა. ასე, რომ მან ეს საკითი დისკუსიის თემად შემმოიტანა, სხვა არაფერი.

დაწესებულებამ განმარტა, რომ დოქტორანტის ვალდებულებაა ის, რომ მაინც 3 სტატია უნდა გამოაქვეყნოს და ის რომ ერთი სტატია მაღალ რეიტინგულ ჟურნალში უნდა გამოაქვეყნონ, ეს თავიდანვე გასაუბრებაზე იციან. რაიმე განსაკუთრებული არაფერი არ შეცვლილა, მათ რა ვალდებულება ჰქონდათ ისევ ის ვალდებულება აქვთ. როდესაც ეს რეკომენდაცია გაიცა ისინი იყვნენ პირველ კურსზე და დიდი ძვრები არ გამოუწვევია.

მეორე კითხვაზე პასუხი პროგრამის ხელმძღვანელმა გასცა, მისი თქმით რაც ცვლილებები იყო განხორციელებული, მათ პროგრამის მიზნებში გაწერილი ჰქონდათ ის, რომ მეცხოველეობის სპეციალიზაციით და შემდგომში ვინაიდან ისინი საბოლოო ჯამში ანიჭებდნენ აგრარულ მეცნიერებათა დოქტორის კვალიფიკაციას, უფრო გაფართოვდა და უფრო ზოგადად მოერგო მთლიანად აგრარულ მეცნიერებას. ანუ ის კონკრეტიკა, რომელიც უშუალოდ მეცხოველეობას ეხებოდა იმან მიიღო უფრო ფართო ხასიათი. რა თქმა უნდა ის რომ უფრო კონკრეტული მეცხოველეობა იყო ჩადებული ეს არ იყო დიდი შეცდომა უბრალოდ კვალიფიკაციის მისანიჭებელ წესთან უფრო მოვიდა შესაბამისობაში. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მომავალში შეიცვლებოდა და მეცხოველეობა იქნება მითითებული, მაშინ დახარისხდებოდა მეცხოველეობის მიმართულებით.

ბატონი პაატას თქმით თემები ახალ და სილაბუსებში ერთნაირად იყო დალაგებული. იქ არ იყო საუბარი კონკრეულ რეკომენდაციაზე, თუ იცვლებოდა პროგრამის მიზანი იცვლებოდა ყველაფერი და აქედან გამომდინარე მან ვერ ნახა სილაბუსებში რაიმე ცვლილებები. ძირითადად დამხმარე ლიტერატურა და თემატიკა იგივე იყო და ვთქვათ იყო სილაბუსები, სადაც მაგალითად კამეჩის მოშენება იყო დამატებული, ხოლო მეცხვარეობა ძირითადში. მას აინტერესებდა როგორც ხდებოდა ეს ცვლილება. მან ვერ ნახა მიზნის ცვლილება ნაბიჯებით. პირველი სამი საგანი რაც ჰქონდათ იგივე იყო და აღარ გაიმეორებდა, რადგან უნივერსიტეტის ხარისხმა იმ სილაბუსებთან დაკავშირებთ რამოდენიმეჯერ მოისმინა კომენტარი. ის 3 საუნივერსიტეტო საგანი რაც ჰქონდათ კონკრეტული პროგრამის არ იყო, გადაფარვა იყო, რეკომენდაციაში ზოგი დაუწერდა, ზოგი არ დაუწერდა, პროგრამის მიზნებთან თითქმის არცერთი არ იყო შესაბამისი, არც ერთ პროგრამას არ ერგებოდა ის 3 საგანი. თუ უნდოდათ, რომ მასწავლებელიც ყოფილიყო, შეეძლოთ სემინარი ჩაეტარებინათ, სასწავლო ლიტერატურა მიეცათ ისე და არ იყო აუცილებელი საგანი ყოფილიყო პროგრამაში, თანაც ყველა ლიტერატურა არ იყო სადოქტოროსთვის შესაბამისი. რაც შეეხებოდა სხვა "კონტენტს", იქ საუბარი არ იყო კონკრეტულ რეკომენდაციებზე, მაგრამ ის ისურვებდა, რომ უფრო მეტი კვლევითი ნაშრომების გარჩევა ყოფილიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ბატონ პაატას რჩევებისთვის და აღნიშნა, რომ ისინი განიხილავდენენ იმ რეკომენდაციების შესრულებას რაც იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ და რაც შეეხებოდა იმ 3 საგანს, ის მიდგომა აბსოლუტუად დღესდღეისობით პროგრამაში შეცვლილი იყო, რადგან პროგრამა, დოქტორანტურის დებულება 3 თვის წინ შეიცვალა და სხვა მიდგომა ჰქონდათ, შეეცვალათ საგანთა ნუსხა, რაც კონკრეტულად და არა მარტო იმ პროგრამაში, მათ ბევრ პროგრამაში ჰქონდათ პრობლემები. მისი თქმით, ახალი პროგრამები, რომლებიც წამოვიდოდა, უკვე აბსოლუტურად სხვა მიდგომა იყო. ახალი დებულება საიტზეც იდო და დღესდღეისობით ხდებოდა პროგრამების შემუშავება იმ ახალი დებულების და ახალი მმოთხოვნების შესაბამისად. ის რეკომენდაციები რაც მათ მიიღეს

ექსპერტებისგან და რაც დამტკიცებული იყო საბჭოზე, ეთანხმებოდნენ თუ არ ეთანხმებოდნენ ნაწილობრივ მაინც ეცადნენ, რომ მაქსიმალურად შეესრულებინათ. თუმცაღა იმაშიც ეთანხმებოდა, რომ პროგრამა კიდევ დახვეწის პროცესში იყო და ეს მუდმივი პროცესი იყო, და დღესაც ამაზე მიდიოდა მუშაობა და იმ ხარვეზების რაც ექსპერტებმა დაინახეს მისის მათი ჩასწორება და რაც უნდა განხორციელებულიყო სამომავლოდ. დაგეგმილი იყო ეტაპობრივად. ამიტომ შემდეგ აკრედიტაციაზე, როდესაც შევიდოდა ეს პროგრამა აბსოლუტურად სხვა სახის და მიდგომის იქნებოდა.
საბჭოს წევრის განმარტებით მართალია ანგარიშის განხილვა მიმდინარეობდა და შესრულებულ რეკომენდაციებზე ისმენდნენ ანგარიშს, მაგრამ თუ ისინი დაინახავდნენ რაიმეს რაც ნორმატიულ აქტთან შეუსაბამო იყო, ან სხვა რაიმე ტიპის ხარვეზს, მათ აუცილებლად უნდა დაეფიქსირებინათ საბჭოზე და ასეთი იყო მაგალითად კვლევის კომპონენტის შეფასება, რომელიც მინისტრის ბრძანებასთან იყო შეუსაბამო.
დაწესებულების წარმომადგენელის თქმით, დებულება ჰქონდათ შეცვლილი, ისინი აბსოლუტურად არ არღვევდნენ მინისტრის მესამე ბრძანებას, შეფასება ჰქონდათ ერთჯერადი იმის მიუხედავად რომ დაყოფილი იყო პირობითად კოლოქვიუმებად და დისერტაციის დაცვად, მაგრამ შეფასება ხდებოდა ერთჯერადად. დებულება განთავსებული იყო ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და შეეძლოთ ენახათ. რაც შეეხებოდა პირობით დაყოფას, სხვა უნივერსიტეტებშიც იყო ასეთი დაყოფა, თუმცაღა მან ისიც თქვა, რომ ისინი პირობით დაყოფასაც იღებდნენ დღესდღეისობით, უბრალოდ ეტაპებად ჰქონდათ გაწერილი, რომ დოქტორანტს ყოველი სემესტრისთვის უნდა შეედგინა ანგარიში, რომელსაც არ ენიჭებოდა კრედიტი და რომელსაც არ ჰქონდა ცალკე შეფასება. კვლევითი კომპონენტის შეფასება მესამე ბრძანებების შესაბამისად არის ერთჯერადი დაცვის შედეგადა.
საბჭოს წევრმა მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენელს, მაგრამ განმარტა, რომ პროგრამა რაც იყო წარმოდგენილი და რაზეც ხდებოდა ანგარიშის მოსმენა, კოლოქვიუმი 1, კოლოქვიუმი 2-ზე, 30 კრედიტი იყო მინიჭებული და საბოლოოდ დისერტაციას 60 კრედიტი, როდესაც კრედიტის მინიჭება ხდებოდა შესაბამისი შეფასება უნდა მოჰყოლოდა ამას სემესტრული. ხოლო თუ პირობითი დაყობა აქვთ იქნებ პირობითად (სიმბოლურად) აღენიშნათ და არ მიენიჭებინათ კრედიტი.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით კრედიტს არ ანიჭებდნენ, უბრალოდ დაყოფილი იყო პირობითად, იმისთვის რომ სტუდენტის დატვირთვა განსაზღვრულიყო და 30 კრედიტზე მეტი არ ყოფილიყო სემესტრის შესაბამისად. ეს არ ნიშნავდა, რომ ხდებოდა კრედიტის მინიჭება და ქულის დაწერა. თუმცა პროგრამის აღწერაში ისინი მკაფიოდ წერდნენ და დებულებაშიც იყო აღწერილი და შეეძლოთ ენახათ.

საბჭოზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის 2^{11} პუნქტის, 31-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მეცხოველეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვიტა,

აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელება ანგარიშის განხილვიდან 1 წლის ვადაში, 2021 წლის 19 ივნისისთვის.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 09 იანვრის N6, 1 წელი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0175, კოსტავას ქუჩა N72
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

დიმიტრი გეგენავამ განაცხადა თვითაცილება.
თვითაცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ რეკომედაციები დამუშავდა აკადემიურ დეპარტამენტზე პროგამის ხელმძღვანელებთან ერთად და რეკომენდაციების შესახებ წარმოადგენდა ანგარიშს.
პირველი რეკომენდაციით დაკონკრეტებულიყო პროგრამის ამოცანები იმისთვის, რომ მკაფიოდ აჩვენებდეს პროგრამის მიზნებს და შეესაბამებოდეს მის შინაარსს. მისი თქმით პროგრამაში

მიზნები დაზუსტდა. ისინი წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით: მოამზადოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, მრეწველობის და ტრანსპორტის სფეროს ეკონომიკასა და მენეჯმენტში, რომელიც უახლოეს მიზნებზე დამყარებული ცოდნის გაფართოების და ინოვაციური ცოდნის მეთოდების საფუძველზე შეძლებდა აღნიშნულ დარგებში მიმდინარე ეკონომიკური და მენეჯმენტური პროცესების წარმართვას, ეკონომიკის და მენეჯმენტის უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით. მათ შორის ორიგინალური, შემოქმედებითი და მეცნიერული ხერხებითაც. მრეწველობისა და ტრანსპორტის სფეროსათვის დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევები, პრაქტიკაში დანერგოს კვლევის შედეგები, განახორციელოს სწავლება, უმაღლესი განათლების სისტემაში. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო ტრანსპორტის და მრექველობის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა სადაც ჩანდა მიზნის ცვლილება .

მეორე რეკომენდაციით, დაეკონკრეტებინათ სწავლის შედეგები იმდაგვარად, რომ მათ რეალისტურად დაესახათ პროგრამის შინაარსი, კურსები როგორიცაა თანამედრვე კვლევა, მენემენტი, ფინანსები და მარკეტინგი, გაზრდილიყო კვლევის მეთოდოლოგია, კრედიტების რაოდენობა, რათა სტუდენტმა პრაქტიკული გამოცდილებით მიეღო თანამედროვე გამოცდილება, კვლევითი პროგრამების გამოყენებით გზით . მისი თქმით ეს რეკომენდაციაც გათვალისწინებულ იქნა. პროგრამა 6 კომპონენტისგან იქნა ჩამოყალიბებული. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ნათლად ჩანდა თითეული ინდიკატორი.

მესამე რეკომენდაციით, სტუდენტებისთვის შეეთავაზებინათ არჩევითი სასწავლო კურსები მათი პროფილური აკადემიური ინტერესების გათვალისწინებით. მისი თქმით, რეკომენდაცია გაითვალისწინეს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებდა მესამე და მეოთხე სემესტრებში სემინარების ჩატარებას, თითეულ სემინარს ეთმობოდა 15 კრედიტი და საგანმანათლებლო პროგამის კვლევითი კომპონენტების შეფასების წესის თანახმად, თემატური სემინარების მოვალეობას სტუდენტმა დააგროვოს 15 კრედიტი. ეს იყო ძველი დებულება, რომელიც უკვე შეცვლილი იყო. მისი თქმით ეს რეკომენდაციაც შესრულდა, მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იყო დანართი 3 სასწავლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტი და მათი შეფასების წესი.

მეოთხე რეკომენდაციით, შემცირებულიყო სწავლის შედეგების რაოდენობა როგორც პროგრამის ისე სასწავლო კურსების დონზე, სილაბუსის სტრატეგიული მენეჯმენტის პრობლემები, ტრანსპორტსა და ინდუსტრიაში შემუშავებულიყო უმაღლესი განათლების ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მესამე დონის მოთხოვნების შესაბამისად. შემუშავდეს სილაბუსები სასწავლო კურსებისთვის თემატური სემინარები 1,2 და შემუშავდეს სწავლის შედეგების სადოქტორო ნაშრომისათვის. სადოქტორო პროგრამასა და სილაბსებში სწავლის შედეგები უფრო ლაკონურად ჩამოყალიბდა და შესაბამისად შემცირდა. გადახალისდა სასწავლო კურსი სტრატეგიული მენეჯმენტის პრობლემატიკა ტრანსპორტსა და მრეწველობაში და იგი შესაბამისოაბაში იყო კურსის დასახელებასთან. სემინარის შემადგენლობა, შინაარსზე მოთხოვნა და შეფასება გაწერილი იყო დებულებით დოქტორანტურის შესახებ. სწავლის შედეგები სადოქტორო პროგრამისათვის განსაზღვრულია მოქმედი დებულებით, მასში აღნიშნულია დასრულებულია დისერტაცია წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შედეგს და იგი ასახავს მის მიერ ჩატარებული თეორიული და ექსპერტიმენტული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს. მას უნდა ახასიათებდეს სიახლე და წვლილი უნდა შექონდეს დარგის განვითარებაში. ნაშრომში წარმოდგენილი უნდა იყოს სადისერტაციო კვლევის მეცნიერული დონე, ხარისხი, შედეგები, მდგრადობა,სანდოობა და ფინანსური მაჩვენებლები. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია სასწავლო პროგრამა, ასევე წარმოდგენილი იყო სილაბუსი და დანართი 3, ეს იყო საგანმანათლებლო კომპონენტები და მათი შეფასების წესი.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა იკითხა თემატური სემინარი 1 და 2 სილაბუსი რაც რეომენდაციაა, რომ შემუშავებულიყო, არ იყო გაწერილი ცალკე?

დაწესებულებამ უპასუხა, რომ გაწერილი იყო დებულებაში და კიდევ იყო აკადემიური საბჭოს დადგენილება დოქტორანტურის სასწავლო დისციპლინების შეფასების წესში.
საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა იკითხა სტრატეგიული მენეჯმენტის მიმართულებით სილაბუსი რაც იყო წარმოდგენილი ბოლო იყო? არსებობდა თუ არა რაიმე სხვაობა ძველს და ახალს შორის. რა შეცვალეს მათ.
დაწესებულებამ უპასუხა, რომ შეცვალეს რამდენიმე თემა და თემის შინაარსობრივი მასშტაბები.
შემდეგი რეკმენდაციით, სხვადასხვა კურსების განსხვავებული მოთხოვნების ასახვის მიზნით გამიჯნულიყო გამოყენებული სწავლების მეთოდების აღწერა, განეხორციელებინათ სწავლის შედეგების გაწერის სტანდარტიზაცია. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით სილაბუსები დაზუსტდა, გაიმიჯნა სწავლის მეთოდები, ჩამოყალიბდა მოთხოვნების სტანდარტების შესაბამისად, რომელიც მტკიცებულების სახით დევს სასწავლო კურსების სილაბუსებში.
მეხუთე რეკომენდაციით, უნდა გაზრდილიყო სტუდენტთა გამოჩენა საერთაშორისო პროგრამაში, მეტი საერთაშორისო მეცნიერის და პედაგოგის გამოწვევით. ზოგადად სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე სისტემატიურად ხდება სხვადასხვა უცხოელ პროფესორთა მოწვევა, რომელთა ლექციებში, აქტივობებში ჩართულნი არიან დოქტორანტები. მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში ფაკულტეტზე სხვადასხვა აქტივობებს ატარებდა გერმანიის ვაიმარის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის, ფინეთის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პეროფესორები, სულ ჯამში 6 პროფესორთან იყო შეხვედრა და დოქტორანტთა ნაწილი მონაწილეობდა სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციების მიერ გამართულ სამეცნიერო კონფერენციებში. ეს ყველაფერი ასახული იყო მტკიცებულების სახით დოქტორანტთა შეფასებებში.
მეექვსე რეკომენდაციით, მომხდარიყო კურსზე გამოხმაურების კითხვარების შეგროვების სისტემატიზაცია და რეაგირება იდენტიფიცირებულ საკითხებზე. დაწყებულიყო კურსდამთავრებულის, პერსონალის და დამსაქმებელთა კვლევითი შედეგების შეკრება. მისი თქმით, პროგრამის მონიტორინგის და შემდგომი უზრუნველყოფის მიზნით, სისტემატიურად ხორციელდებოდა დოქტორანტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლების გამოკითხვები. გამოკითხვის შედეგები სისტემატიზირდებოდა და შედეგების საფუძველზე ხორციელდებოდა პროგრამის სილაბუსების და სასემინარო და სადისერტაციო თემატიკის სრულყოფა. აღნიშნული დანართების სახით წარმოდგენილი იყო დამსაქმებლების ანკეტები.
სხდომის თავმჯდმარემ მიმართა წევრებს თუ ჰქონდათ კითხვები.
საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ განმარტა, რომ პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებით უნდა დაეფიქსირებინა კანონთან შეუსაბამობა, რომელიც ოქმშიც უნდა ასახულიყო. მეორე საკითხი იყო ორი სპეც-კურსი, რომელიც დაწესებულებას ჰქონდა მითითებული, ერთი იყო სტრატეგიული მენეჯმენტის პრობლემატიკა ტრანსპორტსა და მრეწველობაში. მისი თქმით დაწესებულებამ ახსენა, რომ სილაბუსები დაამუშავეს, თუმცაღა ეს კურსი თავისი შინაარსით მაგისტრატურის სტრატეგიული მენეჯმენტის სილაბუსი იყო. მეორე სილაბუსთან დაკავშირებით, ტრანსპორტისა და მრეწველობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის აქტუალური საკითხები, ამ საგანთან დაკავშირებით მათ 3 ლიტერატურა ჰქონდათ მითითებული, ორი იყო HR მენეჯმენტი და მეორე, საქართველოს სამრეწველო წარმოების პრობლემები და მათი დაძლევის მიმართულებები 2015 წლის. მისი თქმით აღნმიშნული არ ფარავდა ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ტრანსპორტს შეეხებოდა და სამომავლოდ რეკომენდაციის ან რჩევის სახით შეეძლოთ მიეღოთ.
ქალბატონი ნინო დობორჯგინიძის რეკომენდაცია იყო, რომ პროგრამა აკადემიური წერის და კვლევის მეთოდების მიმართულებით გაეძლიერებინათ, არც ლიტერატურაში და არც საკითხებში ნამდვილად არ იყო აღნიშნული. მათ რა წიგნიც ჰქონდათ მითითებული პირდაპირ ეწერა, რომ ის იყო საბაკალავრო და მაქსიმუმ სამაგისტრო საფეხურისთვის, ეს იყო კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში. სხა ლიტერატურა იყო აკადემიური წერის კურსის

სახელმძღვანელოები, თსუ-ს გამოცემა და დანარჩენები, რაც ნამდვილად შესავალში და ანოტაციაში აწერია, რომ იყო საბაკალავრო და დამხმარე ლიტერატურა. მისი თქმით, ეს ლიტერატურა უნდა დახვეწილიყო.
დაწესებულების თქმით, ეს ნამდვილად იყო საუნივერსიტეტო საგანი და ლიტერატურა უკვე სხვა იყო მითითებული.

საბჭოზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის 2^{11} პუნქტის, 31-ე მუხლის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტის" სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით საბჭომ გადაწყვიტა, აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელება ანგარიშის განხილვიდან განხილვიდან 1 წლის ვადაში, 2021 წლის 19 ივნისისთვის.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 09 იანვრის N05, 1 წელი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0160, მ. კოსტავას ქუჩა N77
12		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

დიმიტრი გეგენავამ განაცხადა თვითაცილება.
თვითაცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ პოზიცია.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, მიესალმა საბჭოს წევრებს და წარუდგინა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ანგარიში. აღნიშნული პროგრამა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში განხორციელდა 2018 წლის სექტემბერში. 2019 წლისთვის პროგრამა წარდგენილი იყო საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები სრულად აისახა პროგრამის მოდიფიცირების პროცესში. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება უნივერსიტეტისთვის არ იყო მუდმივი პროცესი. აღსანიშნავი იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასახული პროგრამის საუკეთესო მიმოხილვა, რომელიც მას დადებითად ახასიათებდა და მოკლედ წარმოადგენდა ამ პრაქტიკას. ეს იყო პროგრამის მოქნილობა, პროგრამაზე მიღების გამჭირვალობის პირობები, საინფორმაციო სისტემა, რომელიც იძლეოდა სტუდენტის შეფასების გამოქვეყნების შესაძლებლობას, ინდივიდუალური მიდგომა სტუდენტებისთვის და პროგრამის პერსონალის სისტემატიური ჩართულობა. ასევე განმეორებითი აკრედიტაციისას მნიშვნელოვანი მიღწევებისა და პროგრესის მოკლე მიმოხილვა აისახა დასკვნაში, რომელიც ის მოკლედ შეთავაზებდა საბჭოს. ეს იყო სტუდენტთა პროგრამით მაღალი კმაყოფილება რეაკრედიტაციის პროცესში, ეს იყო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობა და წარდგენა სილაბუსების სახით, სტუდენტების და კურსდამთავრებულების მიერ პროგრამის დადებითად შეფასება, სტუდენტების მიერ მოწონებულია პროგრამის მოქნილობა, სტუდენტთა გამჭირვალობა და ობიექტურობა, პროგრამის სტაბილურობა, რომელიც ხელს უწყობდა აკადემიური პერსონალის პრფესიულ ზრდას, კმაყოფილება კონფერენციებისთვის გამოყოფილი დაფინანსებით, ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდის აქტიური ზრდა და პროგრამის მდგრადი ბიუჯეტი და მხარდადებული პერსონალის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში. ეს წარმოადგენდა ექსპერტთა დასკვნაში არსებული პროგრამის ფარგლებში საუკეთესო პრაქტიკას, ასევე განმეორებითი აკრედიტაციისას მნიშვნელოვანი მოსწრების და პროგრესის მოკლე მიმოხილვა, თუმცა პროგრამის განვითარებისათვის ექსპერტთა კორპუსმა მათ მისცა რეკომენდაციები, რომლებიც სრულად გაითვალისწინეს პროგრამის მოდიფიცირების პროცესში, რომელშიც ჩართული იყო როგორც აკადემიური ისე მოწვეული პერსონალი და ისინი ეცადნენ რომ ეს რეკომენდაციები აესახათ პროგრამის განვითარების პროცესში და ანგარიშში.
პირველი რეკომენდაციით დაკონკრეტებულიყო პროგრამის ამოცანები და შედეგები ისე, რომ მკაფიოდ ჩანდეს პროგრამის მიზანი და შესაბამისი იყოს პროგრამის შინაარსთან. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგები დაზუსტდა და შესაბამისობაში მოვიდა პროგრამის შინაარსთან და დანართის სახით ერთვოდა საგანმანათლელო პროგრამა

მეორე რეკომენდაციით სწავლის შედეგების აღწერის გაუმჯობესების საჭიროება, რათა გამხდარიყო მეტად სფეციფიური და კონკრეტული პროგრამისათვის, ასევე შეფასების შედეგების ოფიციალური ამოქმედების საჭიროება არსებითი მტკიცებულებების უზრუნველყოფის მიზნით.
მესამე რეკომენდაცია - სწავლის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის ჩამოყალიბების საჭიროება სადაც გამოჩნდებოდა, რომ მიზნები დაკავშირებული იყო სწავლის შედეგებთან და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის არსებობის საჭიროება, რაც საშუალებას მიცემდა სასწავლო პროცესს მიეღწია სწავლის შედეგებს, ცაკეული ნიშნულების განსაზღვრის საჭიროება
მისი თქმით ოთხივე რეკომენდაცია ეხებოდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, რომელიც პროგრამაში სრულად იყო გათვალისწინებული.
პროგრამის მოდიფიცირების შედეგად დაზუსტდა პროგრამის სწავლის შედეგები, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელმძღვანელო სტანდარტების შეფასების საფუძველზე შემუშავდა სწავლის შედეგების შეფასების გეგმა სადაც განისაზღვრა სამიზნე დანიშნულები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიების ფაკულტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოახერხა სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში. პროგრამაში დანართის სახით მოცემული იყო პროგრამის მიზნები სწავლის შედეგები რუკა რომელიც ნათლად ასახავს თუ როგორ იყო დაკავშირებული პროგრამის მიზნები სწავლის შედეგებთან. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო რომელიც უზრუნველყოფდა პროგრამის სწავლების პროცესის დაგეგმვას, მის ეფექტიან მონიტორინგს.
რეკომენდაციების სახით იყო არჩევითი კურსების რაოდენობის გაზრდის საჭიროება. დეპარტამენტში ფაკულტეტზე რეკომენდაციის გათვალისწინებით მომზადდა ბიზნეს ადმინისტრირების დეპარტამენტში 2 სილაბუსი, ეს იყო ფინანსური ანგარიშების აუდიტი და ინტელექტუალური და კრეატიული მართვა, რომლებიც დამტკიცდა ფაკულტეტის მიერ და აისახა პროგრამის არჩევით საგნობრივ ველში. ამ საგნების პროგრამაში ასახვამ გაამრავალფეროვნა არჩევითი საგნები.
მეოთხე რეკომენდაცია - კურსების შეთავაზება ბიზნესის მართვის სფეროდან, როგორც არჩევითი კურსების სახით და თემატური სემინარი 1,2 გამოკვეთის საჭიროება კურიკულუმში. მოდიფიცირებულიყო პროგრამაში არჩევითი საგნები ფინანსური ანგარიშების აუდიტი და ინტელექტუალური და კრეატიული მართვა რომელიც უკვე იყო ასახული. თემატიკა მოიცავდა ბიზნეს ადმინისტრირების სფეროს ხოლო პროგრამის თემა გამოიყო თემატური სემინარი 1,2, რომლის ნახვა შეიძლებოდა კურიკულუმში.
მეხუთე რეკომენდაციით, გაზრდილიყო სტუდენტური ჩართულობა პროექტებსა და კონფერენციებში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ყოველწლიურად ტარდებოდა საერთაშორისო კონფერენცია, გლობალიზაცია და ბიზნეს ადმინისტრირების თანამედროვე გამოწვევები რათა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალთან თანაავტორობით აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. ასევე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მუდმივად ტარდებოდა სტუდენტთა ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სადაც ბიზნეს ადმინისტრირების სექცია ფუნქციონერებდა და მათი სტუდენტები იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას. 2019 წლის 10-11 ივნისს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა ფორუმი აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წელი, ახალგაზრდული პერსპექტივები, მიღწევები, გამოწვევები, რომელიც ინტერნაციონალიზაციის კუთხით ხელს უწყობდა ქართველი სტუდენტების მეტ ინტეგრაციას უცხო სტუდენტებთან. ბიზნეს ადმინისტრირების სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ერასმუს + ში გაცვლით პროგრამებში და უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურმა აღნიშნული პროგრამა სტუდენტებს შეთავაზა იცხოვრო მარკეტებში შესაბამის პროგრამაში კონკურსში მონაწილეობა და სწავლა 2019-20 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან. ეს ანგარიში წარმოდგენილი იყო 2019 წელს ცენტრში.

მე-6 რეკომენდაციით სხვადასხვა მოთხოვნების სწავლის მეთოდების აღწერების გამიჯვნა სხვადასხვა გასავლელი მოთხოვნების ასახვის მიზნით სწავლის მეთოდების აღწერის გამიჯვნა და სწავლის შედეგების აღწერის სტანდარტიზაციის საჭიროება. სწავლა სწავლების განსხვავებული მოთხოვნების შესაბამისად გაიმიჯნა სხვადასხვა სასწავლო კურსის პროგრამებში გამოყენებული სწავლების მეთოდების აღწერა რომელიც ასევე აისახა საგანმანათლებლო პროგრამაში. განხორციელდა სწავლის შედეგების აღწერის სტანდარტიზაცია რომელიც დანართის სახით აისახა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში.

მეშვიდე რეკომენდაცია - სტუდენტთა საერთაშორისო ექსპოზიციის საჭიროება, პროგრამაში მეტი საერთაშორისო მეცნიერთა და პედაგოგის მოწვევით. ბიზნეს ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამაში საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრში განსაზღვრულია საერთაშორისო მეცნიერების პედაგოგების მიერ საჯარო ლექციების ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის და სტუდენტებისათვის. 2018-2019 და 2019-2020 სასწავლო წლებში ბიზნესის ტექნოლოგიების ფაკულტეტმა უმასპინძლა ზაარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი პროფესორებს რომლებმაც ბიზნესის სფეროს აქტუალურ საკითხებზე ჩაატარეს საჯარო ლექციები. ინდიკატორები მოცემული იყო ანგარიშში და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესი ტექნოლოგიების ფაკულტეტის ვებ-გვერდზე ასახული იყო ღია მტკიცებულების სახით აღნიშნული ღონისძიებები.

მერვე რეკომენდაცია - კურსი გამოხმაურების კითხვარის შეგროვების სისტემატიზაციის და იდენტიფიცირების საკითხებზე რეაგირების მოხდენის საჭიროება და პერსონალის და კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევის შედეგების შეკრების საჭიროება. მისი თქმით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს საფუძველზე ბიზნესი ტექნოლოგიების ფაკულტეტზე განხორციელდა კურსზე გამოხმაურების კითხვარების შეგროვების სისტემატიზაცია და რეაგირება ასევე პერსონალის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა კვლევების შედეგების შეკრება. კვლევის მიზანი იყო ბიზნეს ტექნოლოგიების საკითხების აკადემიური პერსონალი სტუდენტების კურსდამთავრებულების კმაყოფილების შესწავლა, ამისთვის გამოყენებული იქნა კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები, კითხვარები. მტკიცებულების სახით ანგარშში წარმოდგენილი იყო დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნეს ადმინისტრირება, სასწავლო კურსები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის სამოქმედო გეგმ,ა სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, მემორანდუმები უცხოელ უნივერსიტეტებთან, ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ცხოველებში ჩატარებული ლექციები დამადასტურებელი დოკუმენტები და აგრეთვე აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთან ჩატარებული კვლევები

მან წარმოადგინა რეკომენდაციის საფუძველზე განხორციელებული არჩევითი საგნების ბლოკის გამრავალფეროვნების მიზნით აკადემიური დეპარტამენტში შემუშავებული სასწავლო კურსების სილაბუსები, რომლებიც აისახა პროგრამაში საგნობრივ არჩევით ველში.

ნინო ფაილოძე მიესალმა წევრებს. ეს იყო ახალი სასწავლო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ავტორი. 2018 წლის ნოემბერში ეს იმყოფებოდა ბუღალტერთა მე-20 მსოფლიო კონგრესზე, სადაც 130-ზე მეტი ქვეყნის 6000-ზე მეტი დელეგატი იღებდა მონაწილეობას. კონგრესის მიმდინარეობის პროცესში ჩატარდა სხვადასხვა თემატიკაზე მასტერკლასები და “ვორქშოპები”. მათ შორის მონაწილეობა მიიღეს 21 მასტერკლასში, ეს იყო ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის მოდელირება. სწორედ იქ გაჩნდა იდეა იმასთან დაკავშირებით, რომ 2019 წელს როდესაც დაისვა საკითხი დღის წესრიგში ახალი სასწავლო წლის შემოღებასთან დაკავშირებით, მათ მიიღეს გადაწყვეტილება ახალი სასწავლო კურსი ყოფილიყო ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. იმისათვის, რომ ეს სილაბუსი ყოფილიყო შესაბამისობაში აკრედიტაციის სტანდარტებთან. ამ კურსის სახელმძღვანელო უნდა ყოფილიყო ფინანსური ანგარიშგების

აუდიტის სახელწოდებით. მიზნის განსახორციელებლად გარკვეული ღონისძიებების ჩატარება იყო საჭირო. ეს ამოცანები იყო წარმატებით განხორციელებული პირობების ჩამოყალიბება, აუდიტორული საქმიანობის სფეროში მიმდინარე ცვლილებების გაანალიზება და კრიტიკულად შეფასება. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოძიებული მასალის სისტემაში მოყვანა. პროექტით განსაზღვრული ამოცანების განხორციელების გზები იყო: აუდიტის პროფესიული წრეების ჩართულობა, პოტენციურ დამსაქმებლებთან შეხვედრა და მათი წინადადებების ანალიზი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში თემატიკასთან დაკავშირებით საკითხების გაშუქება. პროექტის ფარგლებში ტარდებოდა შეხვედრები და იყო აქტიური ჩართულობა, კერძოდ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებთან. ასევე პროფესიონალ ბუღალტერებთან და აუდიტებთან, ბაფის ფედერაციის აღმასრულებელ დირექტორთან და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელთან. მუშაობის პროცესში ასევე საკმაოდ ჩართულები იყვნენ დოქტორანტები, ი. მ-ე თავისი თემით, ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდიკის სრულყოფის საკითხები საქართვლეოში.

მისი თქმით ისინი დღედღეზე ელოდებოდნენ დაბეჭდვას და გამოჩნდებოდა მონაცემთა ბაზაში. რაც შეეხებოდა ლიტერატურას, გამოვიდა ელექტრონული სახელმძღვანელოები. აღნიშნულ სილაბუსთან დაკავშირებით გათვალისწინებულ იქნა საჯარო აუდიტის ინსტიტუტის რეკომენდაციები და გათვალისწინებუულ იქნა შენიშვნები. ლიტერატურაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ქართულენოვანი და ასევე უცხოენოვანი ლიტერატურა, სტატიები.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა განმარტა, რომ ქალბატონმა ნინომ ვრცლად ისაუბრა სახელმძღვანელოს შესახებ რაც დაემატა პროგრამას და სახელმძღვანელოების ჩამოყალიბების პროცედურების შესახებ. ძალიან კარგი იყო, რომ სამენიერო ლიტერატურაზე დაფუძნებით იყო სახელმძღვანელო, მაგრამ შეიძლებოდა თუ არა მოეცვა ყველაფერი რაც სადოქტორო საფეხური ითვალისწინებს, მისი თქმით ხომ არ ჯობდა სამეცნიერო ლიტერატურას თავად ეცნობოდნენ დოქტორანტები რადგან ისინი მომავალი მკვლევარები უნდა გამოსულიყვნენ და ასეთ ნაშრომები უნდა დაეწერათ. მთავარი აქცენტი ხომ ეს უნდა ყოფილიყო. გასაგები იყო თუ რამდენად ვრცელი გზა იყო გავლილი, მაგრამ რეალურად ერთ სახელმძღვანელოში ვერ მოაქცევდნენ, მაგალითად მას არ ახსენდებოდა სადოქტორო პროგრამა, სადაც სილაბუსში ერთი სახელმძღვანელოთი ასწავლიდნენ დარგს, ამიტომ ჯობდა სამეცნიერო ლიტერატურა თავად დოქტორანტებს აერჩიათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა დიდი მადლობა გადაუხადა ბატონ პაატას შენიშვნისთვის და შეკითხვისთვის. ეს არ იყო ამოუწურავი თემა, პროგრამა ითვალისწინებდა, რომ მათ თავად უნდა მოეძიებინათ. ამასთანავე ლიტერატურის მოძიებაში თავად დოქტორანტებიც იღებდნენ მონაწილეობას და ერთად იძიებდნენ. ისინი გააგრძელებდნენ და ეს არ ამოიწურებოდა იმ ლიტერატურით რაც გამოყენებულ იქნა, ძირითადად საკვლევ მასალაში იყო მითითებული.

საბჭოს წევრმა დაამატა, რომ ჯობდა პირდაპირ სამეცნიერო სტატიებზე ემუშავათ და არა გადამუშავებულ სახელმძღვანელოებზე. ასევე მას ჰქონდა კითხვა ხარისხის სამსახურთან. საბჭო ბოლო 1 საათი და მეტი განიხილავდა ამ უნივერსიტეტის ორ სადოქტორო პროგრამას, რომელთა სახელმწოდებები იყო განსხვავებული მაგრამ ხარისხის მინიჭება ორივესთვის ერთნაირი სახლით ხდებოდა, რეალურად იმ 3 საგნის გარდა, მათში თემატური ბიზნესის არ ჰქონდა ამ ორ პროგრამას, რომელთაც იდენტური კვალიფიკაცია ჰქონდათ საერთო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საქმე იმაში იყო, რომ კანონი მათ არ ზღუდავდა ჰქონოდათ ერთ ინსტიტუციაში ერთი პროგრამა ერთ კვალიფიკაციაზე. თუმცაღა მიდგომა აბსოლუტურად მისაღები იყო, ალბათ სამომავლოდ ეს ორი პროგრამა გაერთიანდებოდა და ერთი პროგრამის სახით იქნებოდა, თუმცა დარგის სპეციალისტები, რომლებიც სამეწარმეო მენემენტში არიან, იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ის იყო განსაკუთრებული მენეჯმენტის სფერო და ის განსაკუთრებულ კვლევებს მოითხოვდა. ძალიან წუხდნენ იმაზე, რომ ჩარჩო არ აძლევდა საშუალებას, რომ მიმართულებებად გაემიჯნათ. ამაზე მათ წერილიც ჰქონდათ დაწერილიც და სამინისტროსაც მიმართეს, რომ ეს ჩარჩოში ყოფილიყო

გათვალისწინებული და გამიჯნულიყო. და დღესაც ცდილობდნენ, რომ ცვლილება შეეტანათ 69/ნ ბრძანებაში. თუ რამდენად მიაღწევდნენ ისინი მას, ეს მათ დონეზე განსახილველი საკითხი არ იყო, თუმცა სამომავლოდ თუ კვალიფიკაცია ცალკე სამეწარმეო მენეჯმენტი არ გამოიყო ამ პროგრამებს მოუწევდა გაერთიანება და მოხდებოდა ერთიანი კვალიფიკაციის მინიჭება.
საბჭოს წევრის განმარტებით, უმჯობესი იქნებოდა არსებულიყო ერთი პროგრამა, რომელშიც სხვადასხვა თემატიკა რასაც ეს ორი პროგრამა მოიცავდა, ჩაშლილიყო კურსებად.
საბჭოს წევრის კითხვით როგორ იყო შესაძლებელი, მეცხოველეობას, ბიზნეს და ტრანსპორტს ერთი საკვლევი თემა ჰქონოდა და ერთი ლიტერატურა?
დაწესებულება ეთანხმებოდა ამ საკითხს და მათი თქმით ამაზე მიდიოდა მუშაობა და ბევრი პროგრამა ერთიანდებოდა.

საბჭოზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის 2^{11} პუნქტის, 31-ე მუხლის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო პროგრამაზე წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით საბჭომ გადაწყვიტა, აკრედიტაციის პირობების შესრულების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელება ანგარიშის განხილვიდან 1 წლის ვადაში, 2021 წლის 19 ივნისისთვის.

ამასთან, დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდგომ, როდესაც საბჭოს წევრებს ეცნობათ 15 ივნისის დღის წესრიგის პროექტის შესახებ, რომლის თანახმადაც, 15 ივნისს ჩაინიშნა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (შენიშვნა: საკითხი იხილება ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე) საბჭოს წევრებმა - ირაკლი ბურდულმა, პაატა ბრეკაშვილმა, გიორგი თურქიამ და ნინო დობორჯგინიძემ განმარტეს, რომ მათ აქვთ განსახილველი საკითხისადმი თვითაცილება, რადგან ისინი მონაწილეობას იღებდნენ შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის საკითხთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, იმისათვის რომ საბჭოს წევრების მიერ წინასწარ შექმნილმა აზრმა და გამოცდილებამ რაიმე სახის გავლენა არ იქონიოს საკითხის განხილვის პროცესსა და გადაწყვეტილების მიღებაზე, ასევე არაეთიკურობის მინიმუმამდე დაყვანისა და მაქსიმალური გამჭვირვალობის მიზნით, ისინი ვერ მიიღებენ მონაწილეობას აღნიშნული საკითხის განხილვაში. ამასთან, დიმიტრი გეგენავას ჰქონდა თვითაცილება, ვინაიდან ის მონაწილეობდა წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, როგორც აკრედიტაციის ექსპერტი. ამასთან, თვითაცილება უნდა ჰქონოდა თამარ ტუფინაშვილს, რადგან იგი საქმიანობდა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, აკრედიტაციის დებულების თანახმად, საბჭო უფლებამოსილი რომ იყოს განიხილოს პროგრამის აკრედიტაციის საკითხი სხდომას უნდა ესწრებოდეს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გათვალისწინებულ რაოდენობაში არ ჩაითვლება საბჭოს ის

წევრი, რომელსაც განსახილველ საკითხთან მიმართებით აქვს თვითაცილება და/ან აცილება. შესაბამისად, საბჭოზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, რომ საბჭოს აღნიშნული პოზიცია - შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ცნობებოდა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტს.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა